International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 3, Issue 2

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/TBTW9006

Coverage of children's issues on the example of Georgian news agencies (interpressnews.ge and primetime.ge)

Nino Chalaganidze[1]
PhD in Journalism, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Soso Gazdeliani[2]
PhD student Caucasus International University

A B S T R A C T

Children are an important part of society. They have special rights, but they remain the most vulnerable members of society. Since it is easy to influence a child, the negative impulses received at this age can have a negative effect on his/her whole life.
Violation of children's rights, along with many other factors, can lead to improper coverage of issues related to them by the media. Therefore, media materials prepared for children require significant editorial verification before publication.
The role of the media in the issue of adolescent socialization is immeasurable. Therefore, it should make every effort to protect the rights and interests of the child, promote its development, and show the rest of society through constant exposure to discriminatory facts how important it is to mobilize and strengthen this link.
In this paper, we have identified the significant trends in the coverage of children's issues in the examples of online publications. We identified the following news agencies as research objects: interpressnews.ge and primetime.ge.
The aim of the work is:

- Getting to know the specifics of the work of online publications on children's issues;
- Determining trends in coverage of children's issues and identifying gaps;
- Development of recommendations based on research results.

The methodological bases of the research are qualitative and quantitative methods of content analysis and comparative analysis. As for the theoretical framework, it combines the following concepts: agenda, framing and priming theories.

[1] nino.chalaganidze@tsu.ge
[2] soso.gazdeliani@ciu.edu.ge

A detailed analysis of the empirical field revealed that coverage of issues related to children continues to face a number of challenges, which mostly include professional-ethical misconduct. In addition, the narrative is superficial, and the periodicity is less favorable.
Proper coverage of children's issues is an important aspect of journalistic activity, therefore, we have chosen this topical issue as the research subject.

Keywords: *children, media, information agency, children's rights, Georgia.*

ქართული საინფორმაციო სააგენტოების მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების თავისებურებები (interpressnews.ge და primetime.ge)

ნინო ჭალაგანიძე
ჟურნალისტიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სოსო გაზდელიანი
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ბავშვები შეადგენენ. ისინი განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობენ, თუმცა სოციუმის მაინც ყველაზე დაუცველ წევრებად რჩებიან. ვინაიდან ბავშვზე ზემოქმედება მარტივია, ამ ასაკში მიღებულმა უარყოფითმა იმპულსებმა შესაძლოა, მთელ მის ცხოვრებაზე ნეგატიურად იმოქმედოს.

ბავშვის უფლებების დარღვევა, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, მედიის მიერ მათთან დაკავშირებული საკითხების არასათანადო გაშუქებამაც შეიძლება გამოიწვიოს. შესაბამისად, ბავშვებზე მომზადებული მედიამასალები გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვან სარედაქციო გადამოწმებას საჭიროებს.

მოზარდთა სოციალიზაციის საკითხში მედიის როლი განუზომელია, შესაბამისად, მან ყველა ღონეს უნდა მიმართოს, რათა დაიცვას ბავშვის უფლებები და ინტერესები, ხელი შეუწყოს მის განვითარებას და დისკრიმინაციული ფაქტების მუდმივი ექსპოზიციით საზოგადოების დანარჩენ წევრებს დაანახოს, რამდენად მნიშვნელოვანია ამ რგოლის განსაკუთრებული მობილიზება და გაძლიერება.

წინამდებარე ნაშრომში ბავშვთა საკითხების გაშუქების საგულისხმო ტენდენციები ონლაინგამოცემების მაგალითებზე გამოვავლინეთ. საკვლევ ობიექტებად განვსაზღვრეთ შემდეგი საინფორმაციო სააგენტოები: interpressnews.ge და primetime.ge.

ნაშრომის მიზანია:

ბავშვთა საკითხებზე ონლაინგამოცემათა მუშაობის სპეციფიკის გაცნობა;

ბავშვთა საკითხების გაშუქების ტენდენციების დადგენა და ხარვეზების გამოკვეთა;

კვლევის შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს წარმოადგენს: კონტენტ-ანალიზის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, შედარებითი ანალიზი. რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოს, ის შემდეგ კონცეფციებს აერთიანებს: დღის წესრიგის, ფრეიმინგისა და პრაიმინგის თეორიები.

ემპირიული ველის დეტალურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება კვლავაც რიგი გამოწვევების წინაშეა, რომლებიც, მეტწილად, პროფესიულ-ეთიკურ გადაცდომებს უკავშირდება. ამასთან, თხრობა ზედაპირული, ხოლო პერიოდულობა - ნაკლებსახარბიელოა.

ბავშვთა საკითხების სათანადოდ გაშუქება ჟურნალისტური საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია, შესაბამისად, კვლევის საგნად სწორედ ეს ზეაქტუალური საკითხი შევარჩიეთ.

საკვანძო სიტყვები: *ბავშვები, მედია, საინფორმაციო სააგენტო, არასრულწლოვანთა უფლებები, საქართველო.*

1. შესავალი

მედია საზოგადოების ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თანამედროვე სამყაროში მისი რაობა კიდევ უფრო გაიზარდა. სინამდვილის სარკისებური პრინციპით ასახვასთან ერთად, მედიის უმთავრეს ფუნქციად ადამიანის უფლებების დაცვაც იქცა.

ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული მედიამასალები, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. არასათანადო გაშუქების შედეგად, შესაძლებელია, ბავშვი მედიადისკრიმინაციის მსხვერპლი გახდეს. შესაბამისად, მსგავს თემებზე მუშაობა ჟურნალისტის მხრიდან მაღალ პროფესიონალიზმსა და დილემების ეთიკურ გადაწყვეტას მოითხოვს. ერთმა დაუფიქრებელმა ნაბიჯმაც კი შესაძლოა, ნეგატიურ პროცესებს დაუდოს სათავე და ბავშვის ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს: გახდეს ჩაგვრის ობიექტი, ზიანი მიადგეს მის რეპუტაციას, გაირიყოს საზოგადოებისგან, ხელი შეეწყოს სტიგმატიზებასა და სტერეოტიპების გამყარებას.

საპირწონედ, არსებობს მოლოდინი, რომ მედიამ კონსტრუქციული როლი შეასრულოს ბავშვების ცხოვრებაში: იქცეს მათი უფლებებისა და ინტერესების დამცველად, ჰქონდეს მყისიერი რეაქცია ბავშვთა დისკრიმინაციის ფაქტებზე, ხელი შეუწყოს არასრულწლოვანთა მიმართ ჯანსაღი გარემოს შექმნას. თუმცა, კონკურენციისა და მედიის კომერციალიზაციის პირობებში, ხშირად უკუშედეგს ვიღებთ, რაც, ისევ და ისევ, პროფესიულ-ეთიკური სტანდარტების უგულებელყოფითაა გამოწვეული. მერკანტილური მიზნები რაციონალურ გადაწყვეტილებებს ჯაბნის, რის შედეგადაც მასალები სენსაციური, მყვირალა და სკანდალური ფაქტებითაა გაჯერებული. თავისთავად ცხადია, გაშუქების ამგვარი პრაქტიკა მედიადისკრიმინაციის სერიოზულ რისკს წარმოშობს, რაც ბავშვთა ცხოვრებას არათუ გააუმჯობესებს, მნიშვნელოვნად გააუარესებს კიდეც.

მასმედიის ეთიკის საკითხებზე მომუშავე ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის MediaWise-ისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით შემუშავებულ ბროშურაში „მედია და ბავშვთა უფლებები“ ვკითხულობთ:
„მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ბავშვთა ინტერესების გაშუქებას ან თუნდაც უგულებელყოფას შეუძლია გავლენა მოახდინოს ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე და საერთოდ, საზოგადოების დამოკიდებულებაზე ბავშვების მიმართ“ (ბერი & ჯემპსონი, 2005, გვ. 4).

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი, მაია ქურციკიძე სიღრმისეულ ინტერვიუში საუბრობს ბავშვთა საკითხების გაშუქების ძირითად ტენდენციებზე, რომლებიც UNICEF-ის მედიამონიტორინგების შედეგად, წლების განმავლობაში ვლინდებოდა:
„პრობლემად რჩება ისეთი თემების სიღრმისეულად გაშუქება, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ბავშვების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ხშირია ბავშვების წარმოჩენა, როგორც მსხვერპლი ან გულუბრყვილო და საყვარელი არსებები. არის შემთხვევები, როდესაც ძირითადი ყურადღება ეთმობა სენსაციასა და სკანდალს. ხშირია კანონთან კონფლიქტში მყოფი ან ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ვინაობის ირიბი იდენტიფიცირების ფაქტები“ (ქურციკიძე, 2022).

ბავშვების მიმართ ძალადობისა და უარყოფითი გავლენების შემცირების საქმეში მედიის მნიშვნელოვან წვლილზეა საუბარი ანგარიშში (Enhancing the quality of reporting on child rights and protection issues), რომელიც UNICEF-ისა და NCFA-ის მიერ მომზადდა (UNICEF & NCFA, Enhancing the quality of reporting on child rights and protection issues, 2017). ბავშვთა კეთილდღეობის ერთ-ერთ გარანტად მედიის განსაკუთრებული როლი თემის აქტუალურობაზე მეტყველებს.

ანგარიშში შემდეგი ძირითადი პოსტულატებია წამოწეული:

- მედიას შეუძლია დაეხმაროს კანონებისა და პოლიტიკის განხორციელებაში, რომლებიც იცავს ბავშვებს;
- უსაფრთხო პრაქტიკის პოპულარიზაციის გზით, მედიას შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს და ახალგაზრდებს რისკებისა და გამოწვევების შემცირებაში;
- მედიას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სოციალური ნორმების შეცვლაში, რაც ხელს უწყობს ძალადობისა და დისკრიმინაციის შემცირებას ბავშვებში;
- მედიას შეუძლია დაეხმაროს ბავშვთა უფლებების დაცვას გაბატონებული საკითხების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდითა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფით;
- მედია შეიძლება იყოს ცვლილების კატალიზატორი, რაც ხელს უწყობს ბავშვებისთვის უსაფრთხო გარემოს გაძლიერებას;
- ბავშვების დასაცავად მედიას შეუძლია წამოიწყოს სოციალური კამპანია.

ანგარიშში დიდი ადგილი მედიის მიერ ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქების მნიშვნელობას ეთმობა. აღნიშნულია, რომ თუკი მედია ბავშვის უფლებების დამცველად გვევლინება, მან აუცილებლად უნდა იხელმძღვანელოს ეთიკური სტანდარტებით. ამასთან, მედიაპრაქტიკოსებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვების ინტერესები და მინიმუმამდე დაიყვანონ ზიანი და საფრთხე; მეტად დაფიქრდნენ ყველა შესაძლო შედეგზე.

ბავშვთა მიმართ ნეგატიური ზემოქმედება თანამედროვე სამყაროში და, ცხადია, საქართველოშიც კვლავაც გამოწვევად რჩება. მედიის დაინტერესების ობიექტშიც ხშირად მსგავსი უარყოფითი კონტექსტი ექცევა.

ბავშვის უფლებების სხვადასხვა ფორმით დარღვევის შესახებ სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს. თემის აქტუალურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში შექმნილი ზოგადი მდგომარეობა, რომელიც არასრულწლოვნებს ჯანსაღი განვითარების საშუალებას არ აძლევს, მათ შორის საგულისხმოა: ბავშვებზე ფსიქოლოგიური/ფიზიკური/სექსუალური ძალადობა, არასახარბიელო სოციალური ფონი, განათლების ხელმიუწვდომლობა, ბავშვთა მკვლელობები, ნაადრევი ქორწინება და სხვ.

სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით, 2022 წელს გაუპატიურების საქმეზე 29 არასრულწლოვანი ცნეს დაზარალებულად, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დაწყებულ საქმეებზე კი - 240 ბავშვი. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკით, 2022 წელს ქვეყანაში სექსუალური ძალადობის სულ 578 შემთხვევა დაფიქსირდა. ამ სახის დანაშაული, 2021 წელთან შედარებით, 9.06%-ით არის გაზრდილი (batumelebi.netgazeti.ge, 2023).

საქართველოს გენერალური პროკურატურის სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა დანაშაულის მსხვერპლი ბავშვების რაოდენობა საგანგაშოა. უწყებამ, საქართველოს რეგიონების მიხედვით, მსხვერპლი არასრულწლოვნების 2020, 2021 და 2022 წლის 7 თვის ჯამური რაოდენობა გაასაჯაროვა. სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება: სამეგრელო-ზემო სვანეთი - 252 ბავშვი; რაჭა-ლეჩხუმი, იმერეთი - 386; გურია, აჭარა - 679; სამცხე-ჯავახეთი - 214; ქვემო ქართლი - 336; შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი - 441; კახეთი - 600; თბილისი - 872. მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი დაზარალებული არასრულწლოვანი დედაქალაქში ფიქსირდება. სტატისტიკის თანახმად, ბიჭებისა და გოგოების სქესობრივი თანაფარდობა 49/51%-ია (publika.ge, 2022).

ზემოთ მოყვანილი სტატისტიკა არასახარბიელოდ გამოიყურება. ბავშვთა მიმართ სხვადასხვა სახის ნეგატიური ზემოქმედების შემცირება დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ ასაკში მიღებულმა ტრავმებმა, შეიძლება, მთელ მათ ცხოვრებაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს.

გარდა გარემო ფაქტორებისა, რომლებიც ბავშვებს უმწეო მდგომარეობაში აყენებს, დიდია მედიადისკრიმინაციის რისკიც. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მედიასაშუალებათა დაინტერესება მსგავსი უარყოფითი კონტექსტის დროს

განსაკუთრებით მაღალია. თანამედროვე მედიაგამოწვევების ფონზე კი, სრულიად შესაძლებელია, ბავშვს დამატებითი ზიანი მიადგეს. სწორედ ამ მიზნით, არაერთი სახელმძღვანელო, ბროშურა თუ გაიდლაინი შემუშავდა, მათ შორის აღსანიშნავია: „მედია და ბავშვის უფლებები“, „მედიაში ბავშვთა საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“, „ბავშვთა საკითხების გაშუქება“, „ბავშვისაგან ინტერვიუს აღება“, „ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში“ და სხვ. აღნიშნული რესურსების მრავალფეროვნება და სიმრავლე თემის აქტუალურობაზე პირდაპირ მეტყველებს, ვინაიდან მათი შექმნის საჭიროება სწორედ მედიის მიერ გაშუქების სტანდარტების ხშირმა დარღვევამ გამოიწვია.

ამასთან, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების პერმანენტული მედიამონიტორინგი ნათლად მიუთითებს თემის მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე.

ნაშრომის **სამეცნიერო სიახლე** იმ ცოდნისა და გამოცდილების ოპტიმიზაციაში გვესახება, რომელიც ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით წლების განმავლობაში დაგროვდა.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა მულტიმედიური პლატფორმების ჩამოყალიბებას დაუდო სათავე, ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, საინფორმაციო სივრცის გამრავალფეროვნება გამოიწვია. დღეს ინფორმაციის მოპოვება პრობლემას აღარ წარმოადგენს, ამჯერად მთავარ გამოწვევად ჭარბი საინფორმაციო ნაკადების გაფილტვრა და მისი კონსტრუირება რჩება.

ინფორმაციის პროფიციტი ახალი მედიის განსაკუთრებულმა გააქტიურებამ გამოიწვია. ეს უკანასკნელი ტრადიციულ მედიასაშუალებებს, ოპერატიულობის კუთხით, ტოლს აღარ უდებს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყალბი ამბების პირმშო ხშირად სწორედ საინფორმაციო პორტალებია. ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საფრთხილო ისეთი თემების გაშუქების ტენდენციების განსაზღვრა, როგორიც ბავშვთა საკითხებია, ასევე, ნაშრომის სამეცნიერო სიახლედ გვესახება.

რაც შეეხება კვლევის შედეგების თეორიულ და პრაქტიკულ გამოყენებას, მიგვაჩნია, რომ ემპირიული ველის დეტალური ანალიზი ამ კუთხით არსებული ცოდნის გაფართოებასა და შემდგომი დაინტერესების საქმეში განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს, ამასთან, გვაქვს მოლოდინი, რომ ის სამეცნიერო დისკუსიების გააქტიურებას შეუწყობს ხელს, რათა საკითხისადმი ინტერესი არათუ შერბილდეს, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდეს.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები პრაქტიკულ მნიშვნელობას ატარებს: ის დაეხმარება საინფორმაციო სააგენტოებს საკითხის უკეთ გააზრებასა და არსებული ხარვეზების გამოსწორების საქმეში. ამასთან, ნაშრომი

სასარგებლო რესურსი იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ისე დარგით დაინტერესებული პირებისთვის.

მიზნები და ამოცანები

კვლევის მიზანია, დავადგინოთ:

- როგორ და რა სიხშირით შუქდება ბავშვთა საკითხები ქართულ ონლაინმედიაში;
- საინფორმაციო სააგენტოთა მიერ ბავშვთა თემატიკაზე მომზადებულ მასალებში რამდენადაა დაცული პროფესიულ-ეთიკური სტანდარტები და რა ხარვეზები ვლინდება;
- რამდენად ვაწყდებით მედიადისკრიმინაციის ფაქტებს.

კვლევისას დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- შევისწავლოთ ონლაინმედიის ორი ყველაზე რეიტინგული საინფორმაციო სააგენტოს მიერ ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული მასალები: დავაკვირდეთ სათაურებს, ლიდებს, ძირითად ტექსტსა და ვიზუალურ საშუალებებს;
- ბავშვთა საკითხების გაშუქების პროფესიულ-ეთიკურ სტანდარტებთან შედარების გზით განვსაზღვროთ, რა ხარვეზები ვლინდება შესაბამის პუბლიკაციებში;
- საკვლევი ობიექტების შედარებითი ანალიზის მეშვეობით დავადგინოთ, რომელი საინფორმაციო სააგენტოს მასალებში უფრო მეტად ვლინდება პროფესიულ-ეთიკური შეცდომები;
- არსებობის შემთხვევაში, გამოვავლინოთ მედიადისკრიმინაციის შესაძლო ფაქტები.

კვლევის **საგანია** ონლაინმედიაში, საინფორმაციო სააგენტოთა მიერ გამოქვეყნებული მასალებისა და ბავშვთა საკითხების გაშუქების პროფესიულ-ეთიკურ სტანდარტებს შორის შესაბამისობის დადგენა.

კვლევის **ობიექტები** - ონლაინმედიის ორი რეიტინგული საინფორმაციო სააგენტოს: interpressnews.ge-ისა და primetime.ge-ს მიერ ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული მასალებია.

საკვლევი კითხვები

ჩამოვაყალიბეთ საკვლევი კითხვები, რომლებზეც პასუხების გაცემას წინამდებარე კვლევის შედეგად შევძლებთ:

RQ1: ბავშვთა საკითხების გაშუქების რა ძირითადი ტენდენციები იკვეთება საინფორმაციო სააგენტოების: primetime.ge-სა და interpressnews.ge ს მასალებში?

RQ2: რამდენად ხშირია მედიასააგენტოთა მიერ გამოქვეყნებულ მასალებში პროფესიულ-ეთიკური სტანდარტების დარღვევის ფაქტი?

RQ3: როგორი ტიპის მასალებს გვთავაზობს ხსენებული მედიასააგენტოები: შედარებით ზედაპირული და ინფორმაციულია თუ სიღრმისეული და ანალიტიკური?
RQ4: რომელი საინფორმაციო სააგენტო უფრო ხშირად აშუქებს ბავშვებთან დაკავშირებულ თემებს?
RQ5: როგორი თანაფარდობაა ბავშვებთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი კონტექსტის გაშუქებას შორის?

საკვლევი ჰიპოთეზები

H_1 - წარმოდგენილი საინფორმაციო სააგენტოების მიერ ბავშვთა საკითხებზე მომზადებული მასალების დიდი ნაწილი ზედაპირული და ეპიზოდურია;
H_2 - წარმოდგენილი საკვლევი ობიექტებიდან მეტად თანმიმდევრული და აკადემიური მასალებით გამოირჩევა - interpressnews.ge;
H_3 - სენსაციისაკენ მიდრეკილება და მყვირალა სათაურები primetime.ge-ს პუბლიკაციებში შეიმჩნევა;
H_4 - ბავშვი ორივე საინფორმაციო სააგენტოსთვის ინტერესის ობიექტში მხოლოდ დისკრიმინაციულ და ნეგატიურ კონტექსტში ხვდება.

კვლევის ლიმიტები

კვლევა არ ფარავს სრულიად ონლაინმედიას. ჩვენ, მიზნებიდან გამომდინარე, საკვლევ ობიექტებად ორი ყველაზე რეიტინგული საინფორმაციო სააგენტო შევარჩიეთ, შესაბამისად, კვლევის შედეგები განზოგადების საშუალებას, შესაძლოა, არ იძლეოდეს, ვინაიდან სხვა მედიასააგენტოებზე დაკვირვებამ, სრულებით შესაძლებელია, სხვა ტენდენციები გამოკვეთოს.

გარდა ამისა, ჩვენი კვლევის ლიმიტები მოიცავს მხოლოდ გაშუქების ნაწილს: როგორ აშუქებს საინფორმაციო სააგენტო ბავშვთა საკითხებს. ბუნებრივია, ჩვენ მოვლენათა შეფასებას მოკლებული ვართ. კვლევის ფოკუსი მედიამასალებში გაშუქების სტანდარტებზეა მიმართული.

ჩვენ, როგორც მედიამკვლევრები, მედიის წილ პასუხისმგებლობას ვსაზღვრავთ და ვადგენთ, ვინაიდან ბავშვის უფლებების დარღვევა, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, შესაძლოა, მედიის მიერ საკითხის არასათანადოდ გაშუქებამაც გამოიწვიოს.

2. მასალები და მეთოდები

2.1 სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას, ემპირიულ მონაცემებთან ერთად, თეორიულ მასალასაც გავეცანით. რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებაში დაგვეხმარა ისეთი ღია და დახურული სამეცნიერო ბაზები, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Royal Society Journals Collection, Cambridge Journals Online, e-Duke Journals Scholarly Collection, SAGE Premier, ScienceDirect, Google Scholar, ResearchGate, Scopus, Academia, Web of Science და სხვ. აქ ბავშვთა თემატიკაზე არაერთი რესურსი იძებნება. სამეცნიერო სტატიების გარდა, ბავშვთა საკითხების გაშუქების მიმართულებით შექმნილია სახელმძღვანელოები, მონიტორინგის ანგარიშები, შემუშავებულია გაშუქების სტანდარტები და ა.შ.

ამ ნაწილში ყურადღებას, მეტწილად, სამეცნიერო წყაროებზე გავამახვილებთ, რომლის ფარგლებშიც მიმოვიხილავთ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრების საყურადღებო პუბლიკაციებს.

ბავშვთა საკითხების გაშუქებაზე მუშაობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. მათ შორის პიონერად დიდი ბრიტანეთი გვევლინება. ბრიტანელმა ჟურნალისტმა და პედაგოგმა, მაიკ ჯემპსონმა, გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მხარდაჭერით, შეიმუშავა სახელმძღვანელო, რომელიც UNICEF-ისა და ბრიტანული მედიაეთიკის ორგანიზაცია MediaWise-ის სახელმძღვანელოს ჟურნალისტებისათვის „მასმედია და ბავშვთა უფლებები“ ეფუძნება (გაზდელიანი, ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქება თანამედროვე სატელევიზიო მედიაში, 2020, გვ. 8). ჯემპსონის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო შემდგომ ქართულად ადაპტირდა.

ქართულ რეალობაში ბავშვთა საკითხების გაშუქების მიმართულებით ჩატარებული კვლევები საკმაოდ დაძველებულია. ერთ-ერთი ასეთი პუბლიკაცია ეკუთვნის ჟურნალისტ ზვიად ქორიძეს, რომელიც 2008 წელს თავის ნაშრომში ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქების პრობლემას ეხება. კვლევა სახელწოდებით: **„ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა საქართველოში – სიტუაციური ანალიზი“** (ქორიძე, ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა საქართველოში – სიტუაციური ანალიზი, 2008) მედიამონიტორინგის სამთვიან ანგარიშს გვთავაზობს.

კვლევაში, ზოგადად, ქართული მედიაა გაანალიზებული. ავტორმა მონიტორინგი განახორციელა საერთო ეროვნულ და რეგიონულ საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებულ ისეთ მასალებზე, როგორიცაა: კანონმდებლობა და ბავშვთა საკითხების გაშუქება მედიაში; ეთიკური ჟურნალისტიკის პრობლემები; ბავშვები და დამნაშავეობა; არასრულწლოვანთა ვინაობა; ბავშვები და განათლება; სტერეოტიპები და დისკრიმინაცია (ქორიძე, ქართული მედია არასრულწლოვანთა უფლებებს ხშირად არღვევს, 2009).

კვლევის თანახმად, თითქმის ორი ათეული წლის წინ მედიაში ბავშვთა საკითხები განზოგადებულ და სტერეოტიპულ ჭრილში შუქდებოდა. საგულისხმოა ისიც, რომ მასალები მოკლებული იყო ჟურნალისტიკის ფუნდამენტურ პრინციპს - სიზუსტეს. ანგარიშის მიხედვით, ხშირად ინფორმაცია გადაუმოწმებელი და არავალიდური იყო. გარდა ამისა, სათაურები სენსაციისკენ იხრებოდა და საკითხი იმდაგვარად შუქდებოდა, რომ კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი ან ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირების მაღალ რისკს წარმოშობდა.

ჩვენთვის სასარგებლო და რელევანტური იყო 2011 წელს გამოქვეყნებული მონიტორინგის ანგარიში: **„ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში“**, რომელიც მკვლევარმა და ჟურნალისტმა, ნინო დანელიამ მოამზადა (დანელია, ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში, 2011). მკვლევრის საკვლევ ობიექტებს შემდეგი ტელეარხები წარმოადგენდა: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“, „მაესტრო“. ერთი თვის განმავლობაში ნინო დანელია წარმოდგენილი მედიასაშუალებების საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდებოდა. აქვე, შენიშვნის სახით: საფიქრებელია, ტენდენციათა გამოსავლენად აღნიშნული საკვლევი პერიოდი რამდენად საკმარისი იქნებოდა.

კვლევის მიხედვით, ხსენებული ტელეკომპანიები ბავშვებზე მომზადებულ სიუჟეტებში შემდეგ ძირითად ტენდენციებს ავლენდა: ბავშვის წყაროდ გამოყენება მისი სტრესის შექმნის ხარჯზე; ბავშვთა არასაჭირო იდენტიფიკაცია; ბავშვთა პირადი ცხოვრების ხელყოფა ყოველგვარი საზოგადოებრივი ინტერესის გარეშე (გაზდელიანი, ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქება თანამედროვე სატელევიზიო მედიაში, 2020, გვ. 10-11).
„ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტი უმეტესად ირღვევა მაშინ, როდესაც შუქდება არასრულწლოვნების კონკრეტული პრობლემური შემთხვევები. დარღვევას უმეტესად იწვევს სიუჟეტში ფაქტისა და კომენტარის აღრევა, არასრულწლოვნების იდენტიფიკაცია და მათი პირადი ცხოვრების ხელყოფა ყოველგვარი აუცილებლობისა და საზოგადოებრივი ინტერესის არსებობის გარეშე“ (დანელია, ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში , 2011, გვ. 10), - აღნიშნულია მკვლევარ ნინო დანელიას ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით აუცილებლად აღსანიშნავია **საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგები**, რომლებიც, ანგარიშის სახით, ყოველწლიურად ქვეყნდებოდა. აღნიშნული პრაქტიკა ბოლო რამდენიმე წელია, სავარაუდოდ, აღარ გრძელდება, ყოველ შემთხვევაში, ინტერნეტრესურსებში შესაბამისი მასალები ვერ ვნახეთ. ამდენად, ქარტიის მიერ დღემდე გამოქვეყნებულ და ხელმისაწვდომ ანგარიშებს მიმოვიხილავთ. საზოგადოდ კი, ქარტია და გაეროს ბავშვთა ფონდი აღნიშნულ პროექტს 2013 წლიდან ახორციელებდა.

მოვიძიეთ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ 2016 და 2017 წლებში მომზადებული მედიამონიტორინგის ანგარიშები, რომლებშიც მნიშვნელოვანი ტენდენციებია აღბეჭდილი.

ქარტიის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგის 2016 წლის ანგარიშში (ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 2016) ბავშვებზე მომზადებული მედიამასალების თემატური ტენდენციაა გამოვლენილი, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვნებს, ძირითადად, განათლებისა და კრიმინალის კონტექსტში აშუქებდნენ. დადებით ჭრილში მხოლოდ ისაა ხაზგასმული, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქება, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა. მნიშვნელოვან გამოწვევად კი - საკითხის არასიღრმისეული/ზედაპირული და ეპიზოდური წარმოჩენა რჩება. მედიამონიტორინგის შედეგად, ასევე, გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები: ბავშვებთან დაკავშირებულ თემებზე, მეტწილად, უფროსები საუბრობენ; ბავშვები, უმეტესად, წარმოჩენილი არიან ქველმოქმედებისა და რეკლამის ობიექტებად.

ამავე წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ბავშვების სახეები არასაჭირო შემთხვევებშიც იფარებოდა, კერძოდ, მაშინ, როცა ისინი დადებით, პოზიტიურ ჭრილში შუქდებოდნენ. ქარტია მიუთითებს, რომ ამის მიზეზი, შესაძლოა, მედიასაშუალებათა განსაკუთრებული სიფრთხილე ყოფილიყო.

„გამოწვევად რჩება არასრულწლოვნებთან დაკავშირებული თემების სიღრმისეული გაშუქება. ხშირად ბავშვთა საკითხები განიხილება ცალკე, მაგალითად, ბავშვის მოვლა, აღზრდა და ა.შ. და არა საზოგადოებაში არსებული პრობლემების ზოგად კონტექსტში. აუცილებელია მედიამ მეტი ყურადღება დაუთმოს იმ პრობლემების ფართოდ გაშუქებას, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებასა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე“ (ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 2016, გვ. 32), - აღნიშნულია ქარტიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის დასკვნით ნაწილში.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მედიამონიტორინგის 2017 წლის ანგარიშში (ქარტია, ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში, 2017) გამოვლენილია შემდეგი არასახარბიელო ტენდენციები: ბავშვებთან დაკავშირებული ტრაგედიების სენსაციური გაშუქება; წინა წლებთან შედარებით, ბავშვების რესპონდენტებად წარმოჩენის მნიშვნელოვანი კლება; საკითხის ზედაპირული და არასიღრმისეული გაშუქება. დადებით ტენდენციებში კი ქარტია შემდეგ პოსტულატებს გამოყოფს: ტერმინოლოგიის დახვეწა; ბავშვთა რეტრავმირების შემთხვევების კლება; არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების რისკის შემცირება.

ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით საყურადღებო ანგარიშს სახელწოდებით - **„ბავშვთა საკითხების გაშუქება თანამედროვე ქართულ მედიაში“** (Chalaganidze, COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA, 2015, pp. 205-211) - გვთავაზობს მედიამკვლევარი, ნინო ჭალაგანიძე. საკვლევი პერიოდი ხუთ თვეს: 2015 წლის იანვარ-მაისს მოიცავს. ობიექტებად წარმოდგენილია არა მხოლოდ სამაუწყებლო, არამედ ონლაინმედიაც.

ეს უკანასკნელი ჩვენი დაკვირვების ობიექტიცაა, შესაბამისად, ჭალაგანიძის მედიამონიტორინგის ანგარიშში გამოვლენილი ტენდენციები ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა.

მკვლევარი შემდეგ ძირითად ტენდენციებზე მიუთითებს: „კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების სტიგმატიზაცია და სტერეოტიპული წარმოდგენა მედიაში რამდენიმე ფორმით ხდება: ბავშვები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ძალადობის, კონფლიქტების, დანაშაულისა და სიღარიბის უმწეო მსხვერპლად; ასევე ბავშვები, რომლებიც განიხილება უფროსების გასართობ აქსესუარებად“ (Chalaganidze, COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA, 2015, p. 209).

კვლევის თანახმად, ონლაინმედია არასრულწლოვანთა თემატიკით უფრო მეტადაა დაინტერესებული, ვიდრე - ტელევიზია. როგორც ავტორი აღნიშნავს, გაანალიზებული მასალების უმეტესობა პროფესიული სტანდარტების დარღვევის ფაქტებს არ შეიცავდა - ჟურნალისტების დიდი ნაწილი ბავშვთა საკითხების გაშუქებისას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესაბამისად მოქმედებდა.

ანგარიშის მიხედვით, მთავარ პრობლემად კვლავ რჩება არასრულწლოვანთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი იდენტიფიცირება ნეგატიურ სიუჟეტებში. ამასთან, ხშირი იყო ჟურნალისტების მხრიდან ფაქტისა და კომენტარის აღრევა. ავტორი მიუთითებს, რომ ბავშვებთან დაკავშირებული ისეთი სპეციფიკური თემის გაშუქებისას, როგორიც - ჯანდაცვაა, შეიმჩნევა ჟურნალისტთა მხრიდან საკითხის არასიღრმისეული ცოდნა.

ბავშვებთან დაკავშირებული ტერმინების დახვეწა დადებით ტენდენციებს შორისაა. როგორც მკვლევარი ჭალაგანიძე აღნიშნავს, დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა.

მედიამკვლევარი ნინო ჭალაგანიძე ანგარიშის ბოლოს რეკომენდაციებს იძლევა, რომელთა შესრულებას პრაქტიკულ დონეზე ბავშვთა საკითხების უკეთ გაშუქებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს:

„ბავშვთა საკითხების გაშუქებისას სასურველია ჟურნალისტებმა წინასწარ იცოდნენ მათი უფლებები. არასრულწლოვანთა საკითხებთან დაკავშირებული ყველა რეგულაცია თავმოყრილია ი. ანთაძის ალმანახში, რომელიც კარგი გზამკვლევია დამწყები ჟურნალისტებისთვის. ზემოაღნიშნულთან ერთად, არსებობს, ასევე, სასწავლო კურსები ბავშვთა საკითხების სწორად გაშუქებაზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ თავიდან ავიცილებთ კვლევის დროს გამოვლენილ შეცდომებს“ (Chalaganidze, COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA , 2015, pp. 210-211), - აღნიშნულია ანგარიშის ბოლოს.

ბავშვთა საკითხების გაშუქებას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა უცხოურ კვლევებში. ამ მიმართულებით სამეცნიერო ბაზებში სტატიებს, მედიამონიტორინგის ანგარიშებსა და სხვა პუბლიკაციებს ვხვდებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვებისა და მედიის ურთიერთობით მედიამკვლევრები ხშირად ინტერესდებიან.

უცხოური ანგარიშებიდან საგულისხმოა მაიკ ჯემპსონის პუბლიკაცია - **Children and media - a global concern** - სადაც ავტორი ბავშვთა საკითხების გაშუქების ძირითად ტენდენციებს გლობალურ ჭრილში აანალიზებს და შესაბამის დასკვნებსაც გვთავაზობს (Jempson, 2003).

ჯემპსონს თემის ირგვლივ განხილული აქვს სხვადასხვა მედიაპლატფორმა, როგორც ტრადიციული, ისე ციფრული. ჩვენთვის, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით საინტერესოა ონლაინმედია, ვინაიდან ეს უკანასკნელი წინამდებარე ნაშრომის საკვლევ ობიექტადაა წარმოდგენილი. ამ ნაწილში ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყანაში დანერგილ საუკეთესო პრაქტიკას ახალგაზრდული, ბავშვებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო პორტალების არსებობის კუთხით. გარდა ამისა, ჯემპსონი პუბლიკაციაში თავს უყრის მსოფლიო მასშტაბით არსებულ სხვადასხვა მექანიზმს, ორგანიზაციასა თუ ნორმატიულ დოკუმენტს, რომლებიც ბავშვებს მიემართება და მათი ცხოვრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

მაიკ ჯემპსონი ბავშვებთან დაკავშირებულ ნეგატიურ მედიაპრაქტიკასაც ეხმაურება და გლობალურ კონტექსტში მნიშვნელოვან ხარვეზებს გამოყოფს: სკეპტიციზმი და უყურადღებობა, რომლებიც, ავტორის თქმით, ევროპის ბევრ ქვეყანაში შეინიშნება, ხშირად ხდება ბავშვთა საკითხების ზედაპირული გაშუქების საფუძველი; ბავშვთა ექსპლუატაცია, მათი გამოყენება კომერციული მიზნებისთვის, სენსაციური გაშუქება - ხსენებული გადაცდომები ჯემპსონს, ასევე, მნიშვნელოვან ხარვეზებად აქვს წარმოდგენილი და ის გლობალურ სურათს ასახავს.

ჩვენი ნაშრომისთვის მნიშვნელოვან უცხოურ რესურსს წარმოადგენს, აგრეთვე, მკვლევარ ბარბარა უილსონის პუბლიკაცია: **Media and children's aggression, fear and altruism**. მასალა ეხება მედიის დადებით და უარყოფით გავლენას ბავშვებზე (Wilson, 2008). ავტორმა მიზნად დაისახა, დაეხმაროს მშობლებს, რათა მათ გააძლიერონ მედიის დადებითი ეფექტი და შეამცირონ გარკვეული ტიპის კონტენტთან დაკავშირებული რისკები.

თავის სტატიაში ავტორი აღნიშნავს, რომ ამერიკელი ბავშვების სოციალურ და ემოციურ გამოცდილებებს ხშირად მედია განსაზღვრავს. ბარბარა უილსონი ყურადღებით აკვირდება, როგორია მედიის ზემოქმედება ბავშვების კეთილდღეობასა და განვითარებაზე. მისი დასკვნით, მედიის გავლენა ბავშვებზე უფრო მეტად დამოკიდებულია იმ კონტენტის ტიპზე, რომელიც ბავშვებისთვის მიმზიდველია, ვიდრე იმ დროის რაოდენობაზე, რომელსაც ისინი ეკრანის წინ ატარებენ.

უილსონი მედიასა და ბავშვთა ემოციებს შორის მჭიდრო კავშირს ხედავს. მისი თქმით, მედიაპერსონაჟების ყურებისას არასრულწლოვნებმა შესაძლოა, მარტივად მოირგონ მათი ემოციები და გახდნენ მათ მიმართ თანამგრძნობნი. როგორც ავტორი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა ემოციური უნარების განვითარებაზე მედიის გრძელვადიანი ეფექტების შესახებ კვლევა შეზღუდულია, ბევრი მტკიცებულება აჩვენებს, რომ მედიამ შეიძლება ხელი შეუწყოს ბავშვებში შიშებისა და შფოთვის გაღვივებას.

უილსონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროსოციალური და საგანმანათლებლო მედიაპროდუქტები ბავშვებზე დადებით გავლენას ახდენს, ხოლო მავნე კონტენტი მათ დესტრუქციული ნაბიჯების გადადგმისაკენ უბიძგებს. თუმცა ყველა ბავშვი ერთნაირად არ იღებს იმპულსებს, მათი მიდრეკილება მედიის გავლენის მიმართ შეიძლება განსხვავებული იყოს სქესის, ასაკის, აღქმის გათვალისწინებით. ასევე, იმის მიხედვით, თუ რამდენად აიდენტიფიცირებენ ისინი საკუთარ თავს ეკრანზე მყოფ პერსონაჟებთან.

უცხოური წყაროებიდან ჩვენთვის, ასევე, რელევანტური იყო ავტორთა ჯგუფის (Ghulam Habib, Muhammad Urfan Ullah, Taiyyaba Khanum, Ayesha khan) მიერ მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაცია: **Role of Media in Coverage and Reporting of Child Abuse Cases** (Habib, Urfan Ullah, Khanum, & Khan, 2023). კვლევა პაკისტანის ოთხ ყველაზე რეიტინგულ გაზეთზე ჩატარდა, საკვლევი პერიოდი კი ორ წელს (2020-2022) მოიცავდა. ავტორთა მიზანი იყო დაედგინათ, როგორ აშუქებდა ბეჭდური მედია, კონკრეტულად, გაზეთები ბავშვებზე ძალადობის ფაქტებს, რამდენად ხვდებოდა ის მედიის დღის წესრიგში და როგორ აქცენტებს აკეთებდა იგი მსგავსი სენსიტიური თემის გაშუქებისას.

ავტორები დასაწყისშივე ერთხმად აღიარებენ მედიის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას საზოგადოების ცხოვრებაში. აღნიშნავენ, რომ სწორედ მედია უნდა იყოს ის საშუალება, რომელიც ბავშვების მიმართ სოციუმის ცნობიერების ამაღლებაზე იზრუნებს. ამასთან, მედიის დღის წესრიგში ბავშვების ხმა მუდმივად უნდა ისმოდეს.

აღნიშნული კვლევა, განსხვავებით ჩვენ მიერ განხილული სხვა უცხოური წყაროებისგან, მედიამონიტორინგს მოიცავს, რაც ამ მიმართულებით ქართულ რეალობაში არსებულ ანგარიშებს ემსგავსება. სტატიაში აქცენტი გაშუქების სტანდარტებზეა მიმართული და კონტენტ-ანალიზის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით გაანალიზებულია შინაარსი და დათვლილია სტატისტიკური მონაცემები.

ორწლიანი საკვლევი პერიოდის შესწავლის შედეგად ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომელიც, ასევე, უმეტესწილად, ქართული მედიის შესწავლის შედეგად მიღებულ ძირითად ტენდენციებს იმეორებს.

აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო, რომ ბავშვები, განსაკუთრებით კი ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები, მედიის ფოკუსში ხშირად ექცევიან, თუმცა იმდენად ზედაპირულადაა გაშუქებული, რომ, როგორც ავტორები მიუთითებენ, ფაქტის სიმძაფრე ხშირად ყურადღების მიღმა რჩება, შეუმჩნეველია. აქ იგულისხმება საგაზეთო მასალები, რომლებიც იურიდიული ლექსიკითაა გაჟღენთილი და საუბარი არაა პრევენციაზე. ამასთან, ტერმინოლოგიურ ნაწილში ავტორები აღნიშნავენ, რომ ორაზროვანი და დამაბნეველია.

ავტორთა ჯგუფი მედიას თავის წილ პასუხისმგებლობას არაერთხელ ახსენებს. აღნიშნავენ, რომ მედიის წარმომადგენლები ბავშვების დაცვას მათი ხშირი ექსპოზიციითა და საკითხის სათანადო გაშუქებით შეძლებენ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის გაშუქებას ეხება შემდეგი სამეცნიერო სტატია: **Child Sexual Abuse and Media: Coverage, Representation and Advocacy** (Nair, 2019).

როგორც სათაურიდან ჩანს, ის შეეხება ინდოეთში ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობის რეპრეზენტაციას მედიაში. ავტორი მედიის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ მას აქვს ძალა არა მარტო მოვლენები გააშუქოს, არამედ საზოგადოებას რეალურად დაანახოს პრობლემის სიმძაფრე და შესთავაზოს მას გადაჭრის გზები.

ავტორი სტატიის შესავალ ნაწილში თემის აქტუალურობაზე საუბრობს, რის დასასაბუთებლადაც ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სტატისტიკას იშველიებს. მონაცემები საკმაოდ საგანგაშოა, - ინდოეთში თითქმის ყოველი მეორე ბავშვი ძალადობის მსხვერპლია.

სტატიაში განხილულია, ასევე, ბავშვთა თემის გარშემო სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა პერიოდის კვლევა და მისი ძირითადი შედეგები. აქვეა ნახსენები მედიის ადვოკატირების როლიც, რომელიც საშუალებას იძლევა, მაქსიმალურად დაცული იყოს ბავშვის უფლებები. როგორც ავტორი აღნიშნავს, ამ უკანასკნელის მიღწევა შესაძლებელია ბავშვთა საკითხების მუდმივი ექსპოზიციით მედიაში, ასევე, ამ კუთხით მოქალაქეების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლებით.

ბავშვები მედიაში - იმდენად გლობალური და მასშტაბური თემაა, რომ სამეცნიერო ბაზებში ამ სახელწოდების ჟურნალიც მოიპოვება, რომელიც კრებს შესაბამის პუბლიკაციებს და აანალიზებს, ერთი მხრივ, მედიის როლს ბავშვთა ცნობიერების ამაღლებაში, მეორე მხრივ კი, ბავშვთა საკითხების გაშუქებას მედიაში.

სამეცნიერო ჟურნალი სახელწოდებით: **Journal of Children and Media** (Journal of Children and Media) მულტიდისციპლინარული და რეცენზირებადი ჟურნალია. მასში არაერთი საინტერესო პუბლიკაციაა თავმოყრილი, რომლებიც ბავშვებსა და მედიას სხვადასხვა ასპექტში მიმოიხილავს. სტატიების დიდი ნაწილი არ არის ღია წვდომის, მასში გარკვეული თანხის გადახდაა საჭირო. შესაბამისად, ჩვენ საშუალება გვქონდა მხოლოდ სათაურებსა და თეზისებს გავცნობოდით.

ჟურნალი საკითხს სამი მიმართულებით იკვლევს: ბავშვები, როგორც მედიის მომხმარებლები; ბავშვების რეპრეზენტაცია მედიაში; მედიაპროდუქცია ბავშვებისთვის. მასალებში მედია და ბავშვები როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ ჭრილშია გაანალიზებული. ჟურნალის მიზანიც სწორედ ისაა, რომ მუდმივად ახლდებოდეს კვლევები ბავშვთა საკითხების გაშუქების მიმართულებით, რათა სამეცნიერო დონეზე დისკუსიები არათუ შერბილდეს, არამედ მნიშვნელოვნად გაძლიერდეს.

ლიტერატურის მიმოხილვის დასკვნით ნაწილში შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა საკითხების გაშუქების კუთხით არსებული თემის შესწავლის მდგომარეობა სტაბილურია. საკითხით არაერთი მკვლევარია დაინტერესებული, რაც, თავის მხრივ, მასალების სიმრავლეში გამოიხატება. ჩვენ, ბუნებრივია, წინამდებარე ნაშრომისთვის რელევანტური და სასარგებლო წყაროები გამოვარჩიეთ.

ქართულ რეალობაში ემპირიული ველი ბავშვთა საკითხების გაშუქების სტანდარტების შესწავლისაკენ იხრება. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით არსებული

ქართული სამეცნიერო ლიტერატურა შედარებით დაძველებულია, საჭიროებს განახლებასა და მიმდინარე ტენდენციებზე აქტიურ დაკვირვებას.

რაც შეეხება უცხოურ წყაროებს, აქ საქმე შედარებით უკეთაა. დასავლური კვლევები, მეტწილად, ფსიქოლოგიურ ინტერესებს ავლენს და აკვირდება მედიის გავლენას ბავშვებზე. აღმოსავლური მედიაკვლევები კი შედარებით ახლოს დგას ქართულთან, ვინაიდან, ორივე შემთხვევაში, ინტერესის საგანი ბავშვების მედიარეპრეზენტაცია და ამ კუთხით გაშუქების სტანდარტების შესწავლაა.

2.2. თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიულ საფუძვლებს **დღის წესრიგის, ფრეიმინგის, პრაიმინგის** თეორიები წარმოადგენს.

ყველა მათგანი მასობრივი კომუნიკაციის სფეროში აქტიურად გამოიყენება. ჩვენი საკვლევი თემატიკაც არ არის გამონაკლისი: ბავშვებთან დაკავშირებული საკითხებით მედია მუდმივად დაინტერესებული უნდა იყოს, რათა ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, საზოგადოება დააფიქროს. სწორედ ხსენებული თეორიების გამოყენებით მიიღწევა ის შედეგი, რომელიც ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

დღის წესრიგის თეორია მოიაზრებს მედიის იმგვარ ქცევას, როდესაც ის გარკვეულ საკითხს მეტ ყურადღებას უთმობს. ასეთ შემთხვევაში მაღალია ალბათობა იმისა, რომ მოვლენამ საზოგადოებრივი მნიშვნელობა შეიძინოს. თუკი მედია ხშირად გააშუქებს ბავშვებთან დაკავშირებულ როგორც დადებით, ისე ნეგატიურ პროცესებს, საზოგადოების დანარჩენი წევრები საკითხით მეტად დაინტერესდებიან.

მეინსტრიმულ მედიასაშუალებებს დღის წესრიგის განსაზღვრაში ხშირად დეცენტრალიზებული პლატფორმები უშლის ხელს, რადგან თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება არსებობს, რომელთაგან მოწინავე პოზიცია სოციალურ მედიას უკავია.

ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორების, მაქსველ მაკკომბსის და დონალდ შოუს მიხედვით, დღის წესრიგის თეორიის ორი ძირითადი დაშვება არსებობს:

1. მედია აკონტროლებს რეალობას: მეინსტრიმული მედია არ იუწყება „რეალობის“ შესახებ, ის მხოლოდ მოქმედებს, როგორც ფილტრი, რომლის საშუალებითაც აუდიტორიამდე რეალობის ზოგიერთი ასპექტი აღწევს, დანარჩენი კი იფილტრება;
2. მედია მნიშვნელობას ანიჭებს თემებს: რაც უფრო მეტ ინფორმაციას ავრცელებს მედია კონკრეტულ საკითხზე, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ საზოგადოება მას აღიქვამს, როგორც მთავარ მოვლენას.

მაკკომბსმა და შოუმ, ასევე, განსაზღვრეს დღის წესრიგის ორი დონე:

1. დღის წესრიგის პირველი დონე - ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მედია ფილტრავს მოვლენებს. ახასიათებს ობიექტის გამორჩევა, რომლისკენაც ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიმართული. შესაბამისად, რაც უფრო მეტ ინფორმაციას ავრცელებს მედია კონკრეტულ საკითხზე, მით უფრო დიდია მისი „ობიექტური გამორჩეულობა“;
2. მეორე დონის დღის წესრიგი - ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც მედია ცდილობს გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ როგორ ფიქრობენ ადამიანები გარკვეულ საკითხებზე (Agenda Setting Theory).

მეორე დონის დღის წესრიგის თეორია **ფრეიმინგის თეორიას** უახლოვდება. ეს უკანასკნელი, მრავალი თვალსაზრისით, მჭიდროდ არის დაკავშირებული დღის წესრიგის თეორიასთან, ვინაიდან ორივე მათგანის ინტერესი საზოგადოების ყურადღების მიქცევაა.

ფრეიმინგის საშუალებით, მედია საზოგადოებაში კიდევ უფრო ძლიერ მესიჯებს გზავნის, ის ინფორმაციებისთვის ერთგვარ ჩარჩოს ქმნის. ეს კი გულისხმობს მედიის არჩევანს: როგორ ააწყოს და რა კუთხით წარმოაჩინოს ესა თუ ის მოვლენა.

ჩარჩოს კონცეფცია დაკავშირებულია დღის წესრიგის დადგენის ტრადიციასთან, თუმცა ის საკითხის არსზე უფრო მეტად ფოკუსირდება, ვიდრე - კონკრეტულ თემაზე. ფრეიმინგის თეორიის საფუძველია ის, რომ მედია ყურადღებას ამახვილებს გარკვეულ მოვლენებზე და შემდეგ მათ მნიშვნელობის ველში ათავსებს.

ფრეიმინგის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ არის საკითხი წარდგენილი აუდიტორიისთვის, რა გავლენას მოახდენს ის ადამიანების არჩევანზე. შესაბამისად, თუკი დღის წესრიგის თეორია აუდიტორიას კარნახობს - რაზე იფიქრონ, ფრეიმინგის თეორია საზოგადოებრივი აზრის ვექტორებს განსაზღვრავს, - თუ როგორ იფიქრონ მოცემულ საკითხზე.

ფრეიმინგის თეორია პირველად გოფმანმა (Goffman) წამოაყენა. მის ნაშრომში - Frame Analysis - ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანები თავიანთი ძირითადი ჩარჩოს მეშვეობით განმარტავენ იმას, რაც ხდება გარე სამყაროში. ის მიიჩნევს, რომ ჩარჩოებში არსებობს ორი განსხვავება - ბუნებრივი და სოციალური: ბუნებრივი ჩარჩოები აიდენტიფიცირებენ მოვლენებს, როგორც ფიზიკურს, სოციალური ჩარჩოები კი მოვლენებს განიხილავს, როგორც სოციალურად განპირობებულს. ეს ჩარჩოები დიდ გავლენას ახდენს მონაცემთა ინტერპრეტაციაზე, დამუშავებასა და კომუნიკაციაზე. ფრეიმინგის საშუალებით მარტივადაა შესაძლებელი საზოგადოების ქცევის, დამოკიდებულებისა და წარმოდგენების შეცვლა/გამყარება.

ფრეიმინგის ტექნიკაში ფეირჰერსტი და სარრი შემდეგ პოსტულატებს გამოყოფენ:

- მეტაფორა - კონცეპტუალური იდეის ჩამოყალიბება სხვა რამესთან შედარების გზით;
- მოთხრობები (მითები, ლეგენდები) - თხრობა ნათელი და დასამახსოვრებელი გზით;

- ტრადიცია (რიტუალები, ცერემონიები) - კულტურული ზნე-ჩვეულებები, რომლებიც ამბავს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს;
- სლოგანი, ჟარგონი, გამომხატველი ფრაზა - ობიექტის ჩასმა მიმზიდველი ფრაზით, რათა ის უფრო დასამახსოვრებელი გახდეს;
- არტეფაქტი - ვიზუალური/კულტურული ფენომენი, რომელსაც აქვს უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე თავად ობიექტს;
- კონტრასტი - ობიექტის აღწერა იმ თვალსაზრისით, თუ რა არ არის იგი (Framing Theory).

თეორიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ეტმანის მოსაზრებაც, რომელიც მიიჩნევს, რომ ჩარჩოს აქვს რამდენიმე მიმართულება, კერძოდ: ინფორმაციის გამცემი, მიმღები, ტექსტი, კულტურა (ნარინდოშვილი, 2018, გვ. 35). ეტმანის აზრით: „ფრეიმინგი ნიშნავს რეალობის ცალკეული ასპექტის წინ წამოწევას, რაც, თავის მხრივ, ცალკეული პრობლემის დეფინიციას, მიზეზ-შედეგობრივ ინტერპრეტაციას, შეფასებასა და რეკომენდაციას გულისხმობს“.

თუკი საზოგადოებრივი აზრის მკვლევარს, ფრენკ ლუნტცის დავესესხებით, ფრეიმინგის საუკეთესო დეფინიციასაც მივიღებთ: „მთავარია არა რას იტყვი, არამედ როგორ იტყვი“.

დღის წესრიგისა და ფრეიმინგის თეორიების ჩვენს საკვლევ თემასთან მჭიდრო კავშირი რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული, კერძოდ: მნიშვნელოვანია მედიის დღის წესრიგში ბავშვების ხმა მუდმივად ისმოდეს, ასევე, აუცილებელია საზოგადოებას ბავშვებზე ე.წ. ფრეიმების გამოყენებით ესაუბრო, რათა თემის ყველა ასპექტში ღრმად იყვნენ ჩახედული, ეს კი დააყენებს შედეგს, რომელიც ასე მნიშვნელოვანია როგორც არასრულწლოვანთა, ისე საერთო სოციალური კეთილდღეობისათვისაც.

აქვე უნდა ვახსენოთ **პრაიმინგის თეორიაც**: ის წარმოადგენს მედიის ეფექტების მნიშვნელოვან თეორიას, რომელიც აცხადებს, რომ მედიამესიჯებს შეუძლია, გავლენა მოახდინოს აუდიტორიის გადაწყვეტილების მიღებაზე ან აიძულოს საზოგადოება, მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული ჯგუფის, იდეის ან კონცეფციის სასარგებლოდ/საწინააღმდეგოდ.

თუკი დღის წესრიგის თეორია მხოლოდ საკითხის მნიშვნელობას ავლენს, პრაიმინგი გვთავაზობს ახსნას, თუ როგორ ინახება მედიის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ადამიანის გონებაში და როგორ მოქმედებს ის გადაწყვეტილების მიღებაზე. თეორიის მიხედვით, მედია გავლენას ახდენს ადამიანთა ქცევაზე ასოცირებული აზრების სტიმულირებით. პრაიმინგი განიხილება, როგორც დღის წესრიგის წინამორბედი, მედიაეფექტების ერთ-ერთი თეორია.

აღიარებულია, რომ მედიაპროფესიონალები ბავშვთა უფლებების შესახებ საზოგადოების მობილიზებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ისინი არიან მოვლენათა

კატალიზატორები, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ და დემოკრატიულ ცვლილებებს უწყობენ ხელს; ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვების უფლებებისა და მათი ცხოვრებისეული პერსპექტივების გაუმჯობესებაში. შესაბამისად, პრაიმინგის თეორიის გამოყენება რელევანტურია იმდენად, რამდენადაც სწორედ ძლიერმა მედიაგზავნილებმა უნდა იმოქმედოს ბავშვების სასარგებლოდ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მათდამი დამოკიდებულებების შეცვლაში.

ემპირიული ველის გაცნობისა და მასალების დეტალური შესწავლის შემდეგ, დასკვნით ნაწილში წარმოვადგენთ შესაბამისობას, - რამდენად არის აგებული საინფორმაციო სააგენტოების პრაქტიკული მუშაობის სპეციფიკა წარმოდგენილ თეორიულ საფუძვლებზე.

2.3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევისას გამოვიყენეთ, როგორც თვისებრივი, ისე კონტენტ-ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები. თვისებრივი კვლევით ჩვენ პასუხები გავეცით კითხვებს: რა, რატომ და როგორ? მისი კვლევის ინსტრუმენტები დაგვეხმარა მასალის შინაარსობრივ შესწავლაში, ხოლო კონტენტ-ანალიზის რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით სტატისტიკურად გავზომეთ თვლადი ცვლადები და გავეცით პასუხები შემდეგ კითხვებს: რამდენი, რამდენად ხშირად?

წინამდებარე კვლევის წარმართვაში შემდეგი კვლევის მეთოდები დაგვეხმარა: კონტენტ-ანალიზი, კონტენტ-ანალიზის რაოდენობრივი მეთოდი და შედარებითი ანალიზი.

კვლევა, მეტწილად, კონტენტ-ანალიზის გამოყენებით წარიმართა, ვინაიდან ბავშვთა საკითხებზე მომზადებული მედიამასალების შინაარსობრივი შესწავლა სწორედ აღნიშნული მეთოდითაა შესაძლებელი.

კონტენტ-ანალიზი კვლევის ერთ-ერთი მეთოდია, მას მედიამკვლევრები ხშირად მიმართავენ. კონტენტ-ანალიზის საშუალებით შევძლებთ როგორც მონაცემთა გაანალიზებას, ისე - მასზე დაკვირვებას. ხსენებული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია გაანალიზდეს ნებისმიერი სახის მედიაკონტენტი, - როგორც ბეჭდური, ასევე აუდიოვიზუალური. მასთან ერთად, კონტენტ-ანალიზს წარმატებით იყენებენ კინოფილმის, სარეკლამო ინფორმაციის, დოკუმენტების, საჯარო გამოსვლების შინაარსობრივი შესწავლისათვის.

სოციალურ მეცნიერებებში კონტენტ-ანალიზის გამოყენება მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიყო. სწორედ ჟურნალისტიკა იყო ერთ-ერთი პირველი სფერო, სადაც ზემოხსენებული მეთოდი გამოიყენეს.

კელენგერისეული განსაზღვრებით, კონტენტ-ანალიზი შემდეგნაირია:

- სისტემატიზებული - გასაანალიზებელი შინაარსი დადგენილი წესების მიხედვით ირჩევა, ხელმძღვანელობს ერთი ინსტრუქციით;
- ობიექტური - ეს გამორიცხავს მკვლევრის ინტერპრეტაციებსა და სუბიექტურ აღქმებს, რადგან სხვა მკვლევარმაც ანალოგიური შედეგი უნდა მიიღოს იმავე შინაარსის შესწავლისას;
- რაოდენობრივი/გაზომვადი - მისი მიზანი ტექსტში მოცემული შეტყობინებების ზუსტი და აკურატული რეპრეზენტაციაა.

ჩვენს კვლევაში კონტენტ-ანალიზის გამოყენება მისი რამდენიმე უპირატესი თვისებითაა განპირობებული: კონტენტ-ანალიზი „შეუმჩნეველი" მეთოდია; ის კონტექსტის მნიშვნელობაზე ფოკუსირდება, სისტემატური და გადამოწმებადია; შესაძლებელია მონაცემთა ხელახალი ანალიზი; იძლევა ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას; არის „მოკრძალებული", ნაკლებად კომპლექსური და შედარებით იაფფასიანი მეთოდი.

განასხვავებენ კონტენტ-ანალიზის სამ სახეობას: რაოდენობრივს, თვისებრივს და სინთეზურს. ჩვენს კვლევაში აღნიშნული მეთოდი სრული არსენალითაა წარმოდგენილი. როგორც სახელწოდებებიდან ჩანს, რაოდენობრივ კონტენტ-ანალიზში წინა პლანზე გამოდის ისეთი ცნებები, როგორიც არის შერჩევის ბუნება (ცალკეული სიტყვების, ტექსტების ან მისი ნაწილების), სიხშირე, სტატისტიკური კორელაციები და სხვ.; თვისებრივში კი – სიმბოლოები, მათი კონტექსტი და ინტერპრეტაცია.

კონტენტ-ანალიზის რაოდენობრივი მეთოდი საშუალებას მოგვცემს ზუსტად გავზომოთ მნიშვნელოვანი ცვლადები. ჩვენ შემთხვევაში: რა სიხშირით შუქდება და რამდენი მასალა ეთმობა ბავშვებს ქართულ ონლაინმედიაში; როგორია თემატური თანაფარდობა; რამდენი მასალაა მომზადებული დადებით და რამდენი - ნეგატიურ ჭრილში; რამდენი იყო წმინდად ინფორმაციული და რამდენი - ანალიტიკური... აღნიშნულ კითხვებზე პასუხების გაცემას სწორედ კონტენტ-ანალიზის რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით შევძლებთ.

როგორც კვლევის სხვა მეთოდების შემთხვევაში, კონტენტ-ანალიზის დროსაც შესაძლებელია გარკვეულ სირთულეებს წავაწყდეთ, მათ შორის უპირველესი - ჩვენი დასკვნების ვალიდურობაში სხვების დარწმუნებაა. ჩვენ მიერ გაანალიზებული კონტენტი მაქსიმალურად მიუკერძოებელ და რელევანტურ დასკვნებს უნდა შეიცავდეს, ვინაიდან ის გადამოწმებას ექვემდებარება.

ვინაიდან ჩვენი ნაშრომის ემპირიული ნაწილი ორ საინფორმაციო სააგენტოს შეეხება, ეს, თავისთავად, კვლევაში **შედარებითი ანალიზის** გამოყენებასაც გულისხმობს, შესაბამისად, ხსენებული მეთოდი, ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თემის საფუძვლიანად შესწავლისათვის, ონლაინმედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალებში მსგავსება-განსხვავებების წარმოსაჩენად და ძირითადი მიგნებების შესაჯამებლად.

შედარებითი მეთოდი მოიცავს კვლევის ობიექტებთან, მთლიანად ან ნაწილობრივ, პარალელების დამყარებას, მსგავსებებისა და განსხვავებების დადგენასა და ანალიზს (შედარებითი მეთოდი).

შედარებითი ანალიზის მეთოდი ემპირიული მონაცემების განზოგადებისა და ჰიპოთეზების შემოწმების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა, შესაბამისად, მისი ადგილი ნამდვილად არის ჩვენ მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდების ნუსხაში.

3. სამართლებრივ-ეთიკური ჩარჩო

3.1. სამართლებრივი ბაზა

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო. ცხადია, მასში ბავშვის უფლებებიც იყო ინტეგრირებული, შესაბამისად, ამ მიმართულებით ცალკე სამართლებრივი დოკუმენტი არ არსებობდა.

მოგვიანებით, 1989 წლის 20 ნოემბერს, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გადაწყდა **„ბავშვის უფლებათა კონვენციის“** შექმნა, რომელიც ძალაში 1990 წლის ორ სექტემბერს შევიდა. დღეს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბავშვის უფლებების კუთხით მთავარ იურიდიულ დოკუმენტს. მას 1994 წელს საქართველოც შეუერთდა, ეს კი დასტური იყო იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს საკუთარ თავზე იღებდა. ბავშვის უფლებათა კონვენცია მსოფლიო მასშტაბით ფართოდ გავრცელებული დოკუმენტია, ვინაიდან ის მრავალ ქვეყანაშია რატიფიცირებული.

ბავშვის უფლებათა კონვენცია არასრულწლოვნების მიმართ, როგორც ქვეყნის მთავრობებს, ისე კერძო პირებს, ანგარიშვალდებულს ხდის. დოკუმენტის პირველი მუხლის მიხედვით, ბავშვად მიიჩნევა 18 წლამდე პირი. კონვენცია 54 მუხლისგან შედგება და ის ბავშვთა კეთილდღეობის, მათი საუკეთესო ინტერესების დაცვისა და ჯანსაღი გარემოს შექმნისთვის მინიმალურ სტანდარტებს აყალიბებს.

ბავშვის უფლებათა კონვენცია მარტივ, ყველასათვის, მით უფრო ბავშვებისთვის, გასაგებ ენაზე, ლაკონიურადაა წარმოდგენილი გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შექმნილ ბროშურაში, რომლის მოწინავე გვერდებზე შეჯამებულია დოკუმენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თეზისები, მათ შორის: „პირველი 42 მუხლი შეეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს - ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ადამიანების მოვალეობებს. 43-54 მუხლებში კი საუბარია იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ სახელმწიფომ და

ზრდასრულმა ადამიანებმა ერთად კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად“ (UNICEF, ბავშვის უფლებათა კონვენცია).

კონვენციის მეორე მუხლი სწორედ სახელმწიფოების ვალდებულებებზე მიუთითებს: *„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე […]“* (გაერო, ბავშვის უფლებათა კონვენცია, მეორე მუხლი, 1990, გვ. 2), - აღნიშნულია დოკუმენტში.

ბავშვებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთობაზე საუბარია კონვენციის მე-17 მუხლში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია, ბავშვებს ჰქონდეთ მედიით გავრცელებულ მასალებზე წვდომა, მით უფრო, თუ ეს მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. აქვეა მნიშვნელოვანი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ბავშვი დაცული უნდა იყოს მედიის უარყოფითი გავლენისაგან, რომელიც მის კეთილდღეობას ეჭვქვეშ დააყენებს:

„მონაწილე სახელმწიფოები ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით“ (გაერო, ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-17 მუხლი, 1990, გვ. 7).

ბავშვის უფლებათა კონვენცია აერთიანებს შემდეგ ძირითად კატეგორიებს: სიცოცხლე, განვითარება, დაცვა, მონაწილეობა.

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა **ბავშვის უფლებათა კოდექსი** მიიღო, რითაც ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. მისი მთავარი დანიშნულება ყველა იმ ღონისძიების გატარებაა, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაიცავს. კოდექსი იძლევა ყველა იმ იურიდიულ გარანტიას, რომელიც ბავშვთა კეთილდღეობასა და ჯანსაღ განვითარებას უწყობს ხელს. ამასთან, არასრულწლოვანთა უფლებები მეტადაა დაცული (matsne.gov.ge, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019).

კოდექსი 101 მუხლისგან შედგება და მან მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს კანონმდებლობის დამოკიდებულება ბავშვის მიმართ. „ის საფუძველს უყრის ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულების სისტემის შექმნას და ქმნის სახელმწიფო სისტემას, რომელიც ყველა ბავშვის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. კოდექსი ნერგავს ოჯახის დახმარების პროგრამებს და მთლიანად კრძალავს ფიზიკურ დასჯას ყველა ტიპის გარემოში. კოდექსის მიღების შედეგად საქართველო გახდა მსოფლიოში 58-ე ქვეყანა, სადაც ფიზიკური დასჯა სრულად არის აკრძალული“ (UNICEF, ბავშვთა უფლებათა კოდექსი - მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის, 2019).

ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით არსებულ სხვადასხვა იურიდიულ დოკუმენტს შორის აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, - **„ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ“**,

რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული პუნქტების ეფექტიანად განხორციელებას ემსახურება. ხსენებულ მუხლში საუბარია ბავშვების დაცვაზე სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან. იურიდიული დოკუმენტი 2007 წელს შეიქმნა მაშინ, როცა ბავშვების მიმართ ძალადობის ფაქტებმა მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია საერთაშორისო დონეზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი კიდევ ერთი იურიდიული დოკუმენტია, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებების დასაცავად 2015 წელს შეიქმნა. როგორც კოდექსშია განმარტებული, - „მისი მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“ (matsne.gov.ge, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015).

ჩამოთვლილი ნორმატიული დოკუმენტები, საერთაშორისო თუ ლოკალურ დონეზე, მნიშვნელოვან გარანტიებს იძლევა ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით. სწორედ ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ბავშვები განსაკუთრებული უფლებებით შეიარაღებული ადამიანები არიან.

3.2. ეთიკური და პროფესიული სტანდარტი

მდიდარ სამართლებრივ ბაზას თან ახლავს ეთიკური ჩარჩოები, რომლებიც ბავშვთა საკითხების აკურატულად გაშუქებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ეთიკა ზნეობრივ ნორმებს მოიცავს, ის დაუწერელი კანონია, თუმცა დღეს ეთიკური სტანდარტები საგანგებოდაა გაწერილი არა მარტო მედიის, არამედ - სხვა სფერო წარმომადგენლებისთვისაც.

დილემების ეთიკურ გადაწყვეტას კონსტრუქციულ ჟურნალისტიკამდე მივყავართ: როცა მედია არათუ ახალისებს დისკრიმინაციას, არამედ ებრძვის მას. ხშირად სწორედ ჟურნალისტის ზნეობრივი მდგომარეობა და თვითშეგნების დონე განაპირობებს მოვლენათა შემდგომ განვითარებას. მედიას სერიოზული ძალა შესწევს, შესაბამისად, რაც მეტად ეთიკური და პროსოციალურია ის, მით უფრო დაცული იქნება ადამიანის უფლებები, საზოგადოების ინტერესები.

ეთიკური სტანდარტების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება საგანგებოდ მნიშვნელოვანია სენსიტიური საკითხების გაშუქების დროს, როცა მცირედ გადაცდომასაც კი შეიძლება, მთელი რიგი უმართავი პროცესები მოჰყვეს.

ბავშვებთან ურთიერთობაც საფრთხილო და საპასუხისმგებლოა, ვინაიდან ამ ასაკში მიღებულმა უარყოფითმა იმპულსებმა შესაძლოა, მთელ მათ ცხოვრებაზე ნეგატიურად იმოქმედოს. ამრიგად, მედიას აქვს ვალდებულება: თავი აარიდოს ბავშვების რეტრავმირებას, დაიცვას მათი უფლებები და ინტერესები, არ დაარღვიოს კონფიდენციალურობის პირობები, თუკი ეს ბავშვის ცხოვრების ხარისხს მხოლოდ გააუარესებს, მუდმივად აპელირებდეს არასრულწლოვანთა პრობლემებზე და მიმართული იყოს ბავშვებისთვის საუკეთესო გარემოს შექმნაზე.

ბავშვთა საკითხების ეთიკურად გაშუქების კუთხით შექმნილია არაერთი სახელმძღვანელო, ბროშურა თუ რეკომენდაცია. ბუნებრივია, ყველა წესი ავტომატურად არ გაჩენილა, მისი შემუშავება მედიაგაშუქების უარყოფითმა გამოცდილებამ განაპირობა.

2016 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები შემუშავდა (ქარტია & UNICEF, ბავშვთა საკითხების გაშუქება - სახელმძღვანელო წესები, 2016). აქ გაწერილია ის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს.

ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: ზოგადი პრინციპები, სადაც საუბარია ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და მათი უფლებების დაცვის აუცილებლობაზე, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნაზე და ბავშვთა საკითხების მუდმივ ექსპოზიციაზე.

წესების მეორე ნაწილი ეხება მშობლებისა და მეურვეებისაგან ნებართვის აღებას, - აქ ხაზგასმულია რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ, 16 წლამდე ბავშვის ჩაწერა მშობლის/მეურვის თანხმობის საფუძველზეა შესაძლებელი, გამონაკლისია იმ შემთხვევაში, თუკი არასრულწლოვანი საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტია. აქაც ჟურნალისტის პასუხისმგებლობა გადამწყვეტია: შესაძლოა, მშობელი ან მეურვე ბავშვისგან ინტერვიუს აღებაზე თანახმა იყოს, თუმცა ჟურნალისტი ამ ფაქტმა არ უნდა შეაცდინოს, ის კარგად უნდა დაფიქრდეს, აწონ-დაწონოს მოსალოდნელი საფრთხეები, რისკები და მას შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება.

სახელმძღვანელოს წესების შემდეგი ნაწილი ბავშვისგან ინტერვიუს აღებას ეხება: მნიშვნელოვანია, მას მარტივი, გასაგები ლექსიკით ვესაუბროთ, ამავდროულად, გვქონდეს მზაობა, რომ თვითონ პროცესი მარტივი არ იქნება. ჟურნალისტი ბავშვს „ენის მოჩლექით“ არ უნდა ესაუბროს და სერიოზულად აღიქვას მისი ყოველი სიტყვა. გაუთანაბრდეს ბავშვის სიმაღლეს და ისე აიღოს მისგან ინტერვიუ.

ეთიკურ სტანდარტებში ერთ-ერთი მეტად საყურადღებო პასაჟია - „როდის დავფაროთ ბავშვი“. ქარტია ამ მიმართულებით შემდეგ შეზღუდვებზე გვაფრთხილებს:

„ბავშვის დაფარვა უპირობოდ აუცილებელია, როდესაც ის არის: ძალადობის/დანაშაულის მსხვერპლი, ბრალდებული/მსჯავრდებული/მოწმე, არის ჩართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, რაიმე ფორმით არის

დაკავშირებული სექსუალურ ძალადობასთან, აივ-დადებითი ან შიდსით დაავადებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბავშვი, მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი არ განაცხადებს თანხმობას სრულიად შეგნებულად, საომარ მოქმედებებში ჩართული ბავშვი იარაღით ხელში, ბავშვისათვის ზიანის მიყენების ან სამაგიეროს გადახდის რისკის შემთხვევაში“ (ქარტია & UNICEF, ბავშვთა საკითხების გაშუქება - სახელმძღვანელო წესები, 2016, გვ. 5-6). აქვეა აღნიშნული, რომ ხშირია ბავშვების ირიბი იდენტიფიცირების ფაქტებიც, რაც გარემოს დეტალური აღწერითა და რესპონდენტთა იდენტიფიცირებით, შეიძლება, იყოს განპირობებული.

ძალადობა და ტრავმა - ამ ნაწილში მნიშვნელოვან გარემოებებზეა ხაზი გასმული, მათ შორის, აღსანიშნავია: მსგავსი ფაქტების გაშუქების დროს თავი უნდა ავარიდოთ ბავშვების რეტრავმირებას, სიუჟეტის იმგვარად მომზადებას, რომელიც სტიგმატიზებასა და კატეგორიზაციას გამოიწვევს.

ქარტიის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო პრინციპები, აგრეთვე, მოიცავს შემდეგ თემატიკას: ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები, არასრულწლოვანთა სუიციდი, შვილები. თითოეულ მათგანში რელევანტური მიგნებებია გაზიარებული, რომელთა გათვალისწინებაც ეთიკურ გადაწყვეტილებებამდე მიგვიყვანს.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შექმნილი Guidelines for journalists reporting on children - ბავშვთა საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო წესები ჟურნალისტებისთვის. იუნისეფმა ამ მიმართულებით ექვსი ძირითადი პრინციპი შეიმუშავა:

პატივი ეცით ყველა ბავშვის ღირსებას; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თითოეული ბავშვის უფლებას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით; დაიცავით თითოეული ბავშვის საუკეთესო ინტერესები; გაითვალისწინეთ მათი შეხედულებები ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად; გაიარეთ კონსულტაცია მათთან, ვინც ყველაზე ახლოს არის ბავშვის მდგომარეობასთან; ნუ გამოაქვეყნებთ ამბავს ან სურათს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვს, მათ და-ძმებს ან თანატოლებს, მაშინაც კი, როდესაც მათი ვინაობა იცვლება, ბუნდოვანია ან არ გამოიყენება (UNICEF, Guidelines for journalists reporting on children).

ამრიგად, ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება რომ საფრთხილო და საპასუხისმგებლოა, ამას მოწმობს ადგილობრივი თუ საერთაშორისო სახელმძღვანელო წესების არსებობა.

თვითრეგულირება საუკეთესო გამოსავალია დილემების ეთიკურად გადაჭრისა და ბავშვთა უფლებების/ინტერესების დაცვის საქმეში.

4. შედეგები და დისკუსია

4.1. კვლევის ობიექტების შექმნისა და ფუნქციონირების ისტორია

კვლევის ობიექტებად საინფორმაციო სააგენტოები: interpressnews.ge და primetime.ge განვსაზღვრეთ. მათი შერჩევა შემთხვევითი არ იყო, ვინაიდან, top.ge-ის მონაცემებით (top.ge, თ. გ.), აღნიშნული პორტალები მკითხველში დიდი პოპულარობით სარგებლობს. უფრო კონკრეტულად, მათი რეიტინგი შემდეგი მონაცემებით გამოისახება:

- **primetime.ge** - საინფორმაციო სააგენტოს მასალებს დღეში, საშუალოდ, 121 ათასზე მეტი, ხოლო თვეში 2 მილიონზე მეტი უნიკალური მკითხველი ჰყავს;
- **interpressnews.ge** - საინფორმაციო სააგენტოს მასალებს დღეში, საშუალოდ, 50 ათასამდე, ხოლო თვეში - 800 ათასამდე უნიკალური მკითხველი ჰყავს.

ჩვენი კვლევის ობიექტები მედიასაშუალებათა სარეიტინგო სიის პირველ ათეულს იკავებენ, შესაბამისად, აღნიშნული საინფორმაციო სააგენტოები დიდ აუდიტორიას იკრებს. ბუნებრივია, ჩვენი დაინტერესების საგანიც სწორედ მრავალრიცხოვანი მკითხველით დაჯილდოებული მედიაპორტალების შესწავლა და ანალიზია.

interpressnews.ge 1999 წელს დაარსდა, 2005 წლიდან კი ის „პალიტრა მედიის“ შემადგენლობაშია. სააგენტოს ხელმომწერები სახელმწიფო უწყებები, კერძო ორგანიზაციები და წამყვანი მედიასაშუალებები არიან, რომელთაც აღნიშნული ონლაინმედიის მიერ მოპოვებული ინფორმაციები უწყვეტ რეჟიმში მიეწოდებათ. სააგენტოში მომუშავე გუნდის მთავარი პრინციპებია: სიზუსტე, ოპერატიულობა, დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციის ასახვა (ინტერპრესნიუსი, თ. გ.).

primetime.ge – „საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ თაიმი“ მკითხველს სთავაზობს ყველაზე აქტუალურ პოლიტიკურ და სოციალურ თემებზე ინფორმაციას, ექსკლუზივებს, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო თემებს,“ (პრაიმთაიმი, თ. გ.) - აღნიშნულია სააგენტოს შესახებ მოწოდებულ ინფორმაციაში. „პრაიმ თაიმი“ მკითხველს სთავაზობს: სიახლეებს, ექსპერტების ანალიზებს, საგამოძიებო სტატიებს, ექსკლუზიურ ინტერვიუებსა და გასართობ კონტენტს. საინფორმაციო სააგენტოს აქვს პრეტენზია უნიკალურობაზე, რაც მათივე განაცხადშია აღნიშნული: „www.primetime.ge-ზე წაიკითხავთ იმას, რასაც სხვაგან არ წერენ, ჩვენგან გაიგებთ იმას, რაც აქამდე არ იცოდით.“

ამრიგად, ჩვენი კვლევის ობიექტების შესახებ მათივე პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაცია საკმაოდ მიმზიდველად გამოიყურება, - ისინი მკითხველს მრავალფეროვან კონტენტსა და დაბალანსებულ გაშუქებას ჰპირდებიან. ასეა თუ ისე, ორივე საინფორმაციო სააგენტო დიდი პოპულარობით სარგებლობს. საინტერესოა, როგორია მათი გაშუქების სტანდარტები ბავშვებთან მიმართებით - ამის გასარკვევად ემპირიული ველის ანალიზი ჩავატარეთ, რომელსაც შემდგომ ქვეთავში (3.2.) გაეცნობით.

4.2. ემპირიული ველის ანალიზი

ემპირიული ველის ანალიზი შემდეგი მიმართულებით განხორციელდა: ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ ონლაინმედიაში საინფორმაციო სააგენტოთა: interpressnews.ge-ისა და primetime.ge-ს მაგალითზე. საკვლევი პერიოდი ხუთი თვით განისაზღვრა და მოიცავს: 2023 წლის 1 იანვარი - 1 ივნისი. ორივე საინფორმაციო სააგენტოს მიერ ბავშვთა საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების დეტალური შესწავლით გამოვკვეთეთ ძირითადი ტენდენციები. ჩვენი დაკვირვების ფოკუსია: მასალის სათაური, ლიდი, ძირითადი ტექსტი, ფოტო-ვიდეოგაფორმებები. მთავარი აქცენტი პროფესიულ-ეთიკური სტანდარტების დაცვაზე გამახვილდა. რაც შეეხება მასალებს, გავაანალიზეთ ისეთი კონტენტი, სადაც ბავშვია მთავარი პერსონაჟი ან მოვლენა, რომელიც მასზე არსებით გავლენას ახდენს.

- **საინფორმაციო სააგენტო interpressnews.ge**

იანვარი, 2023: იანვრის თვეში ბავშვებთან დაკავშირებით 13 მასალა მომზადდა, რომელთა რუბრიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება: სამართალი (2), საზოგადოება (6), მსოფლიო (2), რეგიონი (3). ჟანრობრივად - მხოლოდ ერთი მასალაა ინტერვიუ, დანარჩენი თორმეტი კი - საინფორმაციო ხასიათის. საგულისხმოა ისიც, რომ ოთხი მასალა უარყოფით კონტექსტს მოიცავს, სამი - დადებითს.

იანვრის თვეში გამოქვეყნებული მასალები შეეხებოდა შემდეგ თემებს: არასრულწლოვან შვილზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დაცვის პოლიციის თანამშრომლის დაკავება (interpressnews.ge, 2023); არასრულწლოვანი გერის გაუპატიურების საქმეზე ბრალდებულის დაკავება (interpressnews.ge, 2023); სკოლებში ბავშვების კვება - თემაზე სატელევიზიო ინტერვიუა ჩაწერილი „ლელოს“ დეპუტატ სალომე სამადაშვილთან და მის წერილობით ფორმას გვთავაზობს საინფორმაციო სააგენტო (interpressnews.ge, 2023); უხარისხო მედიკამენტებისგან ბავშვების დასაცავად ჯანმო-ს მოწოდება (interpressnews.ge, 2023); ზუგდიდში საბავშვო ბაღების მშენებლობა (interpressnews.ge, 2023); „ბავშვზე მორგებული ქალაქის“ კანდიდატის სტატუსი ბათუმს (interpressnews.ge, 2023); კონკურსი ბავშვებისთვის (interpressnews.ge, 2023); საბავშვო მასტერკლასი (interpressnews.ge, 2023); საქველმოქმედო აქცია სკოლაში (interpressnews.ge, 2023); შალვა პაპუაშვილის ვიზიტი იაშვილის ბავშვთა კლინიკაში (interpressnews.ge, 2023); საახალწლო წარმოდგენა ბავშვებისთვის (interpressnews.ge, 2023); სასწავლო მასალები სსმ ბავშვებს (interpressnews.ge, 2023); უკრაინიდან გატაცებული ბავშვების უკან დაბრუნება (interpressnews.ge, 2023).

ვიზუალურ ნაწილში აღსანიშნავია, რომ ტექსტს თან ერთვის მხოლოდ ერთი, იშვიათ შემთხვევაში, ორი ფოტომასალა, რომელიც, უარყოფითი კონტექსტის შემთხვევაში, იდენტიფიცირების რისკს არ წარმოქმნის. კრიმინალური ფაქტის საილუსტრაციოდ

საინფორმაციო სააგენტო იყენებდა პროკურატურის ან დაკავებული პირის ფოტომასალას, რომლის სახეც დაფარულია და პირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა. რამდენიმე მასალა, ფოტოს გარდა, ვიდეოსაც შეიცავს: ერთ შემთხვევაში გამოყენებული იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული დაკავების კადრები, მეორე შემთხვევაში - ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების მიერ მომზადებული მასალა, სადაც წამყვანი გადმოსცემს ინფორმაციას და ნაჩვენებია შესაბამისი თემატიკის კადრები. ასევეა შეფუთული კიდევ ერთი მასალა, რომელიც უკრაინიდან გატაცებული ბავშვების უკან დაბრუნებას შეეხებოდა, ამ უკანასკნელში ჩანს მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვების სახეები.

შინაარსობრივ ნაწილში, შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო სააგენტო მაქსიმალურად შეეცადა, დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისა და დაკავებულის იდენტიფიცირება შეეზღუდა. სწორედ ამ მიზნით გამოყენებულია შემოკლებული სახელ-გვარები, არ არის დასახელებული კონკრეტული ლოკაცია, ტექსტში მოხსენიებულია მთლიანად სამხარეო ერთეული. ყოველივე ეს მიმართულია არასასურველი იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად.

იანვრის თვეში არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ მასალებში, რომლებშიც პოზიტიური კონტექსტია ასახული, არ გვხვდება თავად ბავშვების კომენტარები, მათზე სხვები გვესაუბრებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ interpressnews.ge-ს იანვრის თვის მასალებში როგორც სათაური, ისე ძირითადი ტექსტი, საქმიანი, აკადემიური და ინფორმაციულია, თუმცა არაა სიღრმისეული.

მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ იანვრის თვის მასალების დიდ ნაწილში ბავშვები ამბის მთავარი ფიგურანტები არ არიან, არც მათი აზრია აპრიორი, მათ მაგივრად „უფროსები“ საუბრობენ. ამასთან, გარკვეულ მასალებს პოლიტიკური და კომერციული ელფერი დაჰკრავს, შესაბამისად, ბავშვებიც, თითქოს, ამ მიზნით არიან გამოყენებული.

თებერვალი, 2023: თებერვლის თვეში ბავშვებთან დაკავშირებული 27 მასალა მოექცა „ინტერპრესნიუსის“ ობიექტში. მათ შორის, რამდენიმე ერთ ამბავს შეეხებოდა. რუბრიკები კი შემდეგნაირად გამოიყურება: საზოგადოება (11), სამართალი (5), რეგიონი (9), მსოფლიო (1), პოლიტიკა (1). ჟურნალისტური ფორმის მიხედვით, წარმოდგენილი მასალების უმეტესობა ინფორმაციულ ჟანრს ეკუთვნის და მისი მიზანი კონკრეტული ფაქტის კონსტატაცია და რეფლექსიაა. რაც შეეხება კონტექსტს, 18 მასალა შეიცავს ნეგატიურ ფაქტებს.

თებერვლის თვეში გამოქვეყნებული მასალები შემდეგ თემებზე მომზადდა: სტატისტიკა ძალადობის მსხვერპლ ბავშვებზე, რომლებიც ზრუნვის სააგენტომ ოჯახიდან გამოიყვანა; გასაშვილებელთა და მშვილებელთა რაოდენობა საქართველოში; კახეთში ორი წლის ბავშვზე მამის მიერ ძალადობის ფაქტი (მომზადდა სამი მასალა); საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლების ვიზიტი უკრაინელ ბავშვებთან; არასრულწლოვნების მიერ თბილისში მაღაზიის გაქურდვის ფაქტი; 15 წლის მოზარდის დაჭრა თბილისში; შიდა

ქართლში შვიდი წლის ბავშვის გაუპატიურების ფაქტი (მომზადდა ორი მასალა); მარიტა მეფარიშვილის საქმე; აუტიზმის სპექტრის ბავშვების ჩართვა თბილისის მერიის პროექტში; საბავშვო ბაღის მშენებლობა სიღნაღში; ქუთაისისთვის ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივის კანდიდატის სტატუსის მინიჭება; რუსეთის მიერ უკრაინიდან გატაცებული 14 ათასზე მეტი ბავშვი; გორის მერიის პროექტი „ბედნიერი მომავალი"; სააღმზრდელო პროცესის შეწყვეტა თბილისის 37-ე საბავშვო ბაღში; უფასო კვება სკოლებში; ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრის მოწყობის სამუშაოები; პირველკლასელთა სკოლაში შესვლის ასაკის შესაძლო ცვლილება; ბავშვთა მდგომარეობა ნინოწმინდის პანსიონში; ტოიოტას საბავშვო კონკურსი; რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი მარნეულში; ბათუმში ნაპოვნი ჩვილი; კლინიკაში დატოვებული ჩვილი.

ვიზუალურ ნაწილში ხუთ მასალას თან ერთვის ვიდეო: ორი წლის ბავშვზე მამის მიერ ძალადობის ფაქტი - „პალიტრანიუსის" საინფორმაციო გამოშვებიდან ამოჭრილი ეს ეპიზოდი პროკურატურის კადრებითაა „გადაფარული". მსხვერპლის იდენტიფიცირების რისკს ჟურნალისტის მიერ დაკონკრეტებული პატარა ქალაქები და საავადმყოფო წარმოქმნის. ისევ იმავე ფაქტზე, ამჯერად სხვა მასალაში, ტექსტს თან ახლავს ბრალდებულის დაკავების კადრები, მისი იდენტიფიცირება შეზღუდულია. შვიდი წლის ბავშვის გაუპატიურების ფაქტზე, ასევე, ვიდეომასალაა ჩაშენებული ძირითად ტექსტში, - „პალიტრანიუსის" საინფორმაციო გამოშვების ობიექტივში თემის ვიზუალიზაციისთვის ნეიტრალური, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის კადრები შეირჩა. ბავშვთა ონკოლოგიური ცენტრის მოწყობისა და ახალშობილის კლინიკაში დატოვების ფაქტზე შემოთავაზებულ ვიდეომასალაში არ გვხვდება არაეთიკური კადრები. აქვე უნდა აღინიშნოს პროკურატურის წარმომადგენლების უკრაინელ ბავშვებთან ვიზიტის ამსახველი მთავარი ფოტომასალა, სადაც, მიუხედავად შეზღუდული იდენტიფიცირებისა, ბავშვთა სახეები მაინც აღიქმება.

რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს, „ინტერპრესნიუსის" მასალები საინფორმაციო ხასიათისაა და, ძირითადად, ფაქტის კონსტატაციასა და კონკრეტული განცხადების ციტირებას ან რესპონდენტის კომენტარს მოიცავს. უარყოფითი კონტექსტის მატარებელი ტექსტების დიდ ნაწილში ბავშვების პირდაპირი და ირიბი იდენტიფიცირება შეზღუდულია. მასალები აკადემიურად, საქმიანად და ინფორმაციულადაა მოწოდებული. არ შეიცავს სკანდალურ და სენსაციურ სათაურებს. თხრობისას მაქსიმალურად დაცულია ნეიტრალური ტონი.

მნიშვნელოვან ხარვეზად მიგვაჩნია მასალებში ბავშვების ნაკლები ჩართულობა, მით უფრო, ისეთში, სადაც მათი მდგომარეობის შესახებაა საუბარი, მაგალითად: ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში არსებულ ვითარებაზე ომბუდსმენის მოადგილე საუბრობს. ოფიციალურ პირთან ერთად, პანსიონში მცხოვრები არასრულწლოვნების კომენტარებიც მნიშვნელოვანია, - თემასთან დაკავშირებით ისინი უფრო რეალურად ისაუბრებდნენ.

აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო სააგენტომ ბავშვებთან დაკავშირებით სხვადასხვა სტატისტიკა თებერვლის თვეში აქტიურად გააშუქა, რაც მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მიმართ ცნობიერების ასამაღლებლად.

მარტი, 2023: „ინტერპრესნიუსი“ მარტის თვეში ბავშვთა თემატიკაზე მომზადებულ 29 მასალას გვთავაზობს. რუბრიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება: საზოგადოება (12), რეგიონი (7), სამართალი (7), მსოფლიო (3). პოზიტიური კონტექსტის მატარებელია 11 მასალა, მათგან ერთ-ერთი პროექტ „წიგნების თაროს“ მონაწილესთან ინტერვიუა. ჟურნალისტური ფორმის ცვლილებასთან ერთად, ბავშვის აზრებით დაინტერესება დადებითი ტონია, თუმცა აღნიშნულ მასალას კომერციულ ელფერს ტექსტში „საქართველოს ბანკის“ ხშირი პოზიციონირება სძენს.

მოცემული მასალებიდან რამდენიმეში დაფიქსირდა გარკვეული ხარვეზი, განვიხილოთ თითოეული ეს შემთხვევა: ფონიჭალაში ორ ბავშვს მანქანა დაეჯახა - ამბავს, წერილობით მასალასთან ერთად, თან ერთვის ვიდეო, სადაც აღნიშნული უბედური შემთხვევაა ასახული. კადრები მძიმეა, თუმცა საინფორმაციო სააგენტოს ამის შესახებ არანაირი მითითება არ ჰქონია. შემდეგი მასალა, რომელშიც ირიბი იდენტიფიცირების ნიშნები იკვეთება, შიდა ქართლში 60 წლის კაცის მიერ არასრულწლოვანზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტია. მასალის სათაურში მითითებულია სამხარეო ერთეული, თუმცა ძირითად ტექსტში მუნიციპალიტეტის დასახელებასაც ვხვდებით, რაც ფოკუსს კიდევ უფრო ავიწროებს და ეს მსხვერპლის იდენტიფიცირების სერიოზულ რისკს წარმოშობს.

მარტის თვეში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დიდ დიღომში 12 წლის მოზარდის ჯერ დაკარგვისა და შემდგომ მისი გარდაცვალების ფაქტს. საინფორმაციო სააგენტო ვიზუალურ მასალაში გარდაცვლილი ბავშვის ფოტოებს იყენებდა, ტექსტს თან ერთოდა ვიდეო და ფოტოები შემთხვევის ადგილიდან. ფაქტზე მომზადებულ მასალებში ჩაწერილი არიან გარდაცვლილის ოჯახის წევრები და მეზობლები, რომლებიც მძიმე ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზის გამოვლენის პარალელურად, აღსანიშნავია საინფორმაციო სააგენტოს ჩვეული ნეიტრალურობა, აკადემიურობა და არასენსაციურობა როგორც წერილობით, ისე ვიზუალურ ნაწილში.

აპრილი, 2023: აპრილის თვეში ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული მასალების რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 89 პუბლიკაციიდან დიდი ნაწილი ამ პერიოდში განსაკუთრებით აქტუალურ თემას - აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვებსა და მათ მშობლებს შეეხებოდა. საინფორმაციო სააგენტო, მოვლენების განვითარების შესაბამისად, მკითხველს ოპერატიულ ინფორმაციას აწვდიდა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მასალათა საინფორმაციო ფორმატს, თუმცა, გარდა ამისა, „ინტერპრესნიუსი“ გაფართოებულ ნიუსსაც გვთავაზობს, სადაც, ფაქტებთან ერთად, წარმოდგენილია კომენტარები, როგორც მშობლების, ისე პოლიტიკური სპექტრისა და

შესაბამისი უწყების წარმომადგენლების. თემა იმდენად მასშტაბური იყო, რომ მას ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსი“ აქტიურად ეხმიანებოდა, სწორედ ხსენებული ტოქ-შოუს სტუმრების მიერ გაკეთებული განცხადებების „გაშიფრული“ ვერსია იკავებს საინფორმაციო სააგენტოს ონლაინგვერდების მნიშვნელოვან ნაწილს.

გარდა ხსენებული ამბისა, 2023 წლის აპრილის თვეში საინფორმაციო სააგენტო აქტიურად აშუქებდა დიდ დიღომში 12 წლის მოზარდის გარდაცვალების ფაქტს, - ახლა უკვე საგამოძიებო მოქმედებების შესაბამისად. აქტუალურობას არც ამ თვეში კარგავს სკოლებში ბავშვების უფასო კვება, რომელიც პოლიტიკური სპექტრის განხილვის საგანი არაერთხელ გახდა.

„ინტერპრესნიუსი“ ზემოაღნიშნული ამბების თხრობის ნაწილში თანმიმდევრული, საქმიანი და აკადემიურია. ის, უმეტესად, გაფართოებულ ნიუსს გვთავაზობს, სადაც განცხადებები და კომენტარებია ციტირებული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო სააგენტო, ამბის სრული რეკონსტრუქციისთვის, ნიუსის ბოლოს ე.წ. „ბექგრაუნდს“ გვთავაზობს და მკითხველს შეახსენებს კონკრეტული ფაქტის საწყისებსა და წინაპირობებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ინტერპრესნიუსი“ საკუთარ პასუხისმგებლობად მიიჩნევს, განმარტოს საზოგადოებისთვის სპეციფიკური ტერმინები, რათა მასალა მეტად ნათელი და გასაგები გახდეს, შესაბამისად, ამ მიმართულებით ის ინტერპრეტაციების საშუალებას არ ტოვებს.

აპრილის თვეში ბავშვთა საკითხები, უმეტესად, ჯანდაცვის კუთხით შუქდებოდა: აქონდროპლაზია, ონკოლოგია, დიაბეტი.

მასალების გარკვეულ ნაწილს თან ახლავს ამონარიდი „პალიტრანიუსის“ საინფორმაციო გამოშვებიდან. პუბლიკაციებს ერთვის ფოტოები, რომლებიც ფაქტის კონსტატაციის ვიზუალურ საშუალებას წარმოადგენს და არ შეინიშნება ეთიკური გადაცდომები. მხოლოდ რამდენიმე ფოტომასალაშია გამოსახული მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, კერძოდ, აქოდნროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვის მშობლის.

რაც შეეხება სათაურებს, ეს უკანასკნელი ისევე, როგორც მთლიანად ტექსტი, ფაქტების რეპრეზენტაციას ემსახურება, ზოგიერთი სათაური საკმაოდ ვრცელია და მასში ციტატის სახით კომენტარებსაც ვხვდებით.

აპრილის თვეში გამოქვეყნებულ მასალებში ბავშვთა საკითხები პოლიტიკური ქვეტექსტების მნიშვნელოვანი გამტარი გახდა. არასრულწლოვნებსა და მათ საჭიროებაზე სხვები საუბრობენ. როდესაც საქმე ჯანდაცვის საკითხებს ეხება, ბავშვებისაგან კომენტარის ჩაწერა არარელევანტური იქნებოდა, თუმცა პოზიტიურ კონტექსტშიც არ გვესმის მათი ხმა. საილუსტრაციოდ შეგვიძლია, ერთი მასალის მაგალითი მოვიყვანოთ: გენდერული საბჭოს საქმიანობის თაობაზე ნინო წილოსანი და ბაია კვიციანი მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრის

შესახებ მასალაში მხოლოდ ნინო წილოსანის კომენტარი გვხვდება, ხოლო მოსწავლეთა განწყობები, დამოკიდებულებები და მოსაზრებები უგულებელყოფილია, არ არის წარმოჩენილი.

აღსანიშნავია, აგრეთვე, აპრილის თვეში გამოქვეყნებული ოთხი მასალა, რომლებიც ბავშვებთან დაკავშირებით სხვადასხვა კვლევის რეფლექსიას ემსახურება, მათ შორის: ფორმალური განათლების ხარისხის კმაყოფილების კუთხით, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევა; ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდების შემცირებასთან დაკავშირებული სტატისტიკა; სკოლებში ბავშვების კვება; ბავშვთა მატერიალური და სოციალური სიდუხჭირე. მსგავსი პუბლიკაციები პირდაპირ მიუთითებს ბავშვთა საკითხებით მედიის დაინტერესების მაღალ მაჩვენებელზე.

2023 წლის აპრილის თვის მასალებიდან 29 პოზიტიურ კონტექსტს შეიცავდა, 60 კი - სრულად ან ნაწილობრივ ნეგატიურს. წარმოდგენილი მასალების უმრავლესობა საინფორმაციო ღირებულების მატარებელია და შედარებით ღრმა ანალიზი მხოლოდ რამდენიმე სტატისტიკურ პუბლიკაციაში გვხვდება.

რაც შეეხება რუბრიკებს, ის შემდეგნაირია: საზოგადოება (63), რეგიონი (6), მსოფლიო (2), პოლიტიკა (13), სამართალი (5).

რუბრიკებთან დაკავშირებით მცირედი შენიშვნები მისმა თემატურმა აღრევამ დაიმსახურა, კერძოდ: როდესაც მასალაში პოლიტიკური ფიგურაა წარმოჩენილი და ის აფასებს ბავშვებთან დაკავშირებით კონკრეტულ საკითხს, მეტად რელევანტური იქნება მისი სელექცია რუბრიკაში „პოლიტიკა“ და არა - „საზოგადოება“.

მაისი, 2023: ბავშვთა თემატიკის სიმრავლით გამოირჩევა მაისის თვეც. „ინტერპრესნიუსის“ ობიექტივში 64 მასალა მოხვდა. მათგან დადებით კონტექსტს ატარებდა 19. რუბრიკები შემდეგნაირად გადანაწილდა: რეგიონი (9), მსოფლიო (1), საზოგადოება (43), კონფლიქტები (1), სამართალი (3), პოლიტიკა (7).

მაისის თვეში გამოქვეყნებული მასალებიდან მნიშვნელოვანი წილი მოდის ჩუტყვავილას გართულებით გარდაცვლილ 4 წლის ბავშვზე. აღნიშნულ თემაზე საინფორმაციო სააგენტომ საკითხის გარშემო ყველა მხარე ჩაწერა. მასალებში, ტექსტთან ერთად, ვიდეოებიც გვხვდება. ერთ-ერთ ასეთ ვიდეომასალაში ჩაწერილია გარდაცვლილი ბავშვის ბებია, რომელიც მძიმე ემოციურ მდგომარეობაშია. საგულისხმოა, რომ მედიას, ასეთ შემთხვევაში, მეტი სიფრთხილე და მგრძნობელობა უნდა გამოეჩინა და, უმჯობესი იქნებოდა, არ ჩაეწერა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირი, რაც შემდგომ შესაძლოა, რეტრავმირების საფუძველი გამხდარიყო.

ამავე თვეში მომზადებულ მასალებში ბავშვები პოლიტიკური დავის საგანი ხდებიან და მათზე პოლიტიკოსები საუბრობენ. თემატიკა პრობლემურია: ბავშვთა უფასო კვება სკოლებში, ამერიკის ვიზის გარეშე დარჩენილი 50 მოზარდი, საჯარო სკოლების რემონტი და სხვ.

„ინტერპრესნიუსი“ მაისში აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების საკითხს კვლავ აქტიურად აშუქებს. მოვლენათა განვითარების შესაბამისად, საინფორმაციო სააგენტო ცდილობს, თანმიმდევრულად და დეტალურად მოგვიყვეს აღნიშნული ამბის შესახებ.

კვლავ შესამჩნევია ბავშვებთან დაკავშირებული ამბების გაშუქება მათი კომენტარის გარეშე. მაისის თვეში მსგავსი სახის ხარვეზად შეიძლება, მივიჩნიოთ: მთაში მცხოვრები მოზარდების წიგნებით უზრუნველყოფა - ფაქტია, რომ აღნიშნული მასალა სარეკლამო დანიშნულების მატარებელი უფროა, ვიდრე ბავშვთა ემოციების, საკითხისადმი დამოკიდებულების გამტარი. მედია მათი აზრით არ დაინტერესებულა ისევე, როგორც სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაჭიანურებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნაწილის პროტესტის შემთხვევაში. მეტიც, ამ უკანასკნელში პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლის კომენტარი გვხვდება, რაც ე.წ. „პოლიტიკური ქულების“ დაწერას ჰგავს. საფიქრალია, რომ მედია უნდა დაინტერესებულიყო მოსწავლეების აზრით, ვინაიდან, სკოლის პრობლემებთან დაკავშირებით, მათზე უკეთ, საეჭვოა, ვინმეს ესაუბრა.

„ინტერპრესნიუსი“ ბავშვთა დისკრიმინაციის შესახებ მომზადებულ მასალებში ეთიკურ-პროფესიულ სტანდარტებს იცავს როგორც ტექსტობრივ, ისე - ვიზუალურ ნაწილში. ამასთან, ხსენებული შემთხვევების გარდა, თანმიმდევრულ და აკადემიურ ხაზს მიჰყვება.

1-ლი ივნისი, 2023: ვინაიდან პირველი ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, ჩვენი საკვლევი პერიოდი მასაც მოიცავს. საგანგებოდ ამ დღისთვის შექმნილი მედიამასალების კონტენტ-ანალიზი ჩვენი კვლევისათვის რელევანტური იქნებოდა, შესაბამისად, აღნიშნული თარიღი დაკვირვების ობიექტად იქცა.

პირველ ივნისს „ინტერპრესნიუსი“ ბავშვთა თემატიკაზე მომზადებულ 29 მასალას გვთავაზობს. ცხადია, უმეტესობა მათგანი ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების რეპრეზენტაციასა და მისალოცი განცხადებების ექსპოზიციას ემსახურება.

საინფორმაციო სააგენტოს მიერ ამ დღისადმი მიძღვნილ მედიამასალებში არ „ჩანან“ ბავშვები, მათზე სხვები საუბრობენ. მასალები ზედაპირული, საახალამბებო და აღწერილობითია. თითქმის ყველა ტექსტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: დაგეგმილი ღონისძიების დღის წესრიგი და უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარები. არცერთ მასალაში არ გვხვდება ბავშვების კომენტარი, მათი ემოციები, მოსაზრებები. ამასთან, „ინტერპრესნიუსი“ ღრმა ანალიტიკურ მასალებს მნიშვნელოვნადაა მოკლებული. პროფესიული გადაცდომები მინიმალურია იმდენად, რამდენადაც საკითხისადმი მედიის დაინტერესება ზოგადი და ზედაპირულია. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა რეგიონში გამართული თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ „ინტერპრესნიუსი“ გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას წარმოადგენს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, ძირითადად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ. საგულისხმოა, რომ მედია, პირველ რიგში, ბავშვების ინტერესებითა და მოსაზრებებით უნდა დაინტერესებულიყო.

- **საინფორმაციო სააგენტო primetime.ge**

იანვარი, 2023: საინფორმაციო სააგენტო primetime.ge იანვრის თვეში ბავშვებთან დაკავშირებულ 31 მასალას ავრცელებს. ისინი შემდეგ რუბრიკებში ნაწილდება: საზოგადოება (14), შემთხვევა (3), მსოფლიო (3), ჯანდაცვა (2), ტაბლოიდი (2), რეგიონი (2), მეცნიერება (1), განათლება (1), რჩევები (1), სოციალური თემა (1), პოლიტიკა (1). რუბრიკების პალიტრა და ამ მიმართულებით მეტად დავიწროებული ფოკუსი ნამდვილად შეიმჩნევა „პრაიმტაიმის“ შემთხვევაში. მასალების მხოლოდ მესამედი შეიცავს პოზიტიურ კონტექსტს (11).

იანვრის თვეში გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილის ოფიციალური წყარო თავად Prime Time-ი არ არის, ის, შესაბამისი საავტორო უფლებების მითითებით, აქტიურად იყენებს სხვა მედიასაშუალებების (მათ შორის: ტელეარხები, სხვა საინფორმაციო სააგენტოები) პროდუქტს, როგორც ვიდეოს, ისე - წერილობითი სახით.

აღსანიშნავია, რომ მასალების დიდი ნაწილი არ ეკუთვნის საახალამბებო ჟურნალისტიკას, მეტი წილი მოდის ბავშვებთან დაკავშირებული სხვადასხვა საჭიროების გაშუქებაზე და რჩევებზე, რომელთა ადრესატები მშობლები არიან. ამ მიმართულებით უნდა ვახსენოთ შემდეგი თემები: საჭიროა თუ არა ბავშვებს ჰქონდეთ საშინაო დავალება; უნდა ეძინოს თუ არა ბავშვს მშობლების ოთახში და ა.შ. მსგავსი მასალები რჩევებისა და გაფრთხილებების „ტონითაა“ მომზადებული.

„პრაიმტაიმის“ ობიექტივში მოხვდნენ ბავშვები, რომელთაც სხვადასხვა სახის დახმარება ესაჭიროებათ, ორი მასალა სწორედ საქველმოქმედო მიზანს ემსახურებოდა. საინფორმაციო სააგენტომ, ტერმინოლოგიურ ნაწილში, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების გაშუქებას თავი კარგად გაართვა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მასალა კომერციულ ქვეტექსტს ატარებდა. შესაბამისი ეთიკურ-პროფესიული სტანდარტები იყო გათვალისწინებული მასალათა ვიზუალურ ნაწილში (ფოტოები).

„პრაიმტაიმის“ მასალათა სათაურები სენსაციისკენ, ინტრიგასა და სკანდალისაკენ იხრება. ამ ნაწილში ვაწყდებით შედარებით მძიმე ტერმინოლოგიას, როგორიცაა: „ტრაგედია“, რომლითაც, თითქოს, მკითხველს უფრო მეტად მოიზიდავს. ამასთან, აღსანიშნავია კიდევ ერთი მასალა, რომელიც 11 წლის ბავშვის გულის მოულოდნელად გაჩერებას შეეხებოდა, აქ საინფორმაციო სააგენტო გვთავაზობს მოზარდის ოჯახის ახლობლის კომენტარს, რომელსაც არანაირი საინფორმაციო ღირებულება არ გააჩნია და მისი მიზანი მხოლოდ სენსაციაა.

საინფორმაციო სააგენტო იანვრის თვეში ეხმაურებოდა სოციალურ ქსელებში ბავშვებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პოსტებს, მათ შორის: მშობლების, გიორგი კეკელიძის. ტაბლოიდური ელფერიც არაერთ მასალას დაჰკრავდა.

თებერვალი, 2023: „პრაიმტაიმი“ თებერვლის თვეში ბავშვებთან დაკავშირებით 51 მასალას აქვეყნებს. მათგან მხოლოდ 21 შეიცავს პოზიტიურ კონტექსტს. რუბრიკები შემდეგნაირად გადანაწილდა: საზოგადოება (17), მსოფლიო (14), რეგიონი (3), სამართალი (4), ჯანდაცვა (1), ომი უკრაინაში (3), სოციალური თემა (2), რჩევები (3), ისტორიები (1), ტაბლოიდი (1), შემთხვევა (2).

საინფორმაციო სააგენტო აქტიურად წერდა თურქეთსა და სირიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის, ნანგრევებში მოყოლილი და გადარჩენილი ბავშვების შესახებ. მასალების ამ ნაწილში განსაკუთრებით სჭარბობს ემოციური სათაურები, ფოტოსურათები და ვიდეოები.

თებერვლის თვეში გამოქვეყნებული მასალების დიდ ნაწილში სათაურები იმგვარადაა ფორმულირებული, რომ მასალის გახსნას „გაიძულებს“. ეს ერთგვარი კომერციული ხრიკია, რომელსაც მერკანტილური მიზნებისთვის წარმატებით იყენებენ. ამასთან, უარყოფით კონტექსტში მომზადებული მასალების ფოტოსურათებში ბავშვების პირდაპირი იდენტიფიცირებაა შესაძლებელი, - ამ ნაწილში უნდა ვახსენოთ ამბავი, რომელიც რუსული ტყვეობიდან გათავისუფლებულ უკრაინელ ბავშვებს შეეხებოდა, მათი სახეები დაუფარავადაა წარმოჩენილი.

ირიბი იდენტიფიცირების რისკს ქმნის მასალა, რომელიც შვიდი წლის ბავშვის გაუპატიურების ფაქტს შეეხება. მასში დაკონკრეტებულია მუნიციპალიტეტი და მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც ადგილობრივებისთვის რთული მისახვედრი არ იქნებოდა, შესაბამისად, დიდი შანსია, ბავშვს დამატებითი ზიანი მიადგეს. ასეთივე ხარვეზი იკვეთება კახეთში მამის მიერ ორი წლის შვილზე ძალადობის ფაქტთან დაკავშირებითაც, - დაკონკრეტებულია მუნიციპალიტეტი. უმჯობესია, მსგავს შემთხვევებში მედიამ, რაც შეიძლება, მეტად ზოგადი ტოპონიმური ერთეული შესთავაზოს მკითხველს, რათა დაზარალებული ბავშვების იდენტიფიცირება მნიშვნელოვნად შეზღუდოს.

„პრაიმტაიმის“ მასალებში ბავშვებთან დაკავშირებით არაერთ რჩევასაც შეხვდებით, მათ შორის: მოზარდის ფეხშიშველა სიარულის დადებითი და უარყოფითი მხარეები; გაკვეთილებზე დაგვიანების პრევენცია; არასასარგებლო პროდუქტები ბავშვებისთვის; მეტყველების შეფერხება და ამაში გაჯეტების როლი; სათამაშოები, რომლებიც ბავშვებს უნდა ჰქონდეთ; როგორ დავბანოთ ბავშვი; როგორ მოვუაროთ ჩვილის კანს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი მასალების სიმრავლე საინფორმაციო სააგენტოს მიმართ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან ის, ერთი მხრივ, ინტერესდება და, მეორე მხრივ, მკითხველსაც სთავაზობს ბავშვებისა და მათი მშობლებისთვის რელევანტურ თემებს.

თებერვლის თვეში საინფორმაციო სააგენტო არაერთი საქველმოქმედო განცხადების გავრცელების საშუალებად იქცა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ისიც, რომ წარმოდგენილი მასალების დიდი ნაწილი სხვადასხვა მედიასაშუალების ორიგინალურ პროდუქტს წარმოადგენს, ხოლო „პრაიმტაიმი“, შესაბამისი წესების დაცვით, საკუთარ ვებგვერდზეც ათავსებს.

მარტი, 2023: „პრაიმტაიმი“ მარტის თვეში ბავშვებთან დაკავშირებით 64 მასალას აქვეყნებს, რომელთაგან პოზიტიურ კონტექსტს მხოლოდ 15 მოიცავს. მასალები შემდეგ რუბრიკებში ნაწილდება: საზოგადოება (20), რჩევები (7), სპორტი (1), სამართალი (2), მსოფლიო (5), ჯანდაცვა (2), შემთხვევა (15), კრიმინალი (2), დედაქალაქი (2), პოლიტიკა (1), ტაბლოიდი (2), სოციალური თემა (1), მეცნიერება (1), Faceამბები (2), რეგიონი (1).

მარტში გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი ბავშვებთან დაკავშირებით უბედურ შემთხვევებს შეეხებოდა. ინფორმაციასთან ერთად, „პრაიმტაიმი“ არ ერიდება მძიმე ტერმინოლოგიის გამოყენებას და მოვლენათა შეფასებას ისეთი ზედსართავი სახელებით, როგორიცაა: „შემზარავი“, „საზარელი“, „დიდი ტრაგედია“, „ემოციური“ და ა.შ. ამასთან, საინფორმაციო სააგენტოს რამდენიმე მასალას თან ერთვის ვიდეოც, რომელიც მარტივი საყურებელი არ არის. მძიმე კადრების შესახებ „პრაიმტაიმი“ მკითხველს ტექსტში ან სათაურშივე ანიშნებს. ასეთი სულ ორი მასალა იყო: ჩინეთში ესკალატორის მექანიზმში მოზარდს ხელი გაეჭედა; სკვერში, სადაც ბავშვები თამაშობდნენ, მანქანა შევარდა.

დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის მოზარდის საქმეზე საინფორმაციო სააგენტო მასალებს აქტიურად აქვეყნებდა, თუმცა „პრაიმტაიმი“ მხოლოდ ვარაუდებს გვაწვდის, რომლებიც, თავისთავად, ჰიპოთეტურია და შესაძლოა, სიმართლეს არც შეესაბამებოდეს. მასალებში მეზობლების კომენტარები უფრო მეტად „ჭორაობას“ ემსგავსება და არანაირი საინფორმაციო ღირებულება არ გააჩნია.

საინფორმაციო სააგენტოს მიერ ბავშვთა თემატიკაზე მომზადებულ მასალებში თავად ბავშვების კომენტარებს ვერ ვხვდებით, - ეს ტენდენცია უკვე მესამე თვეა, თვალშისაცემია. მარტის თვეში მოზარდების აზრები არ გაჟღერდა ისეთ ნეიტრალურ კონტექსტშიც კი, როგორიცაა: სპორტული მოედნის მოწყობა; საბავშვო პარკის რეაბილიტაცია.

„პრაიმტაიმი“ ჩვეულ სტილს არც მარტის თვეში ღალატობს და მკითხველს ბავშვებთან დაკავშირებით რჩევებს აქტიურად უზიარებს, მათ შორისაა: სად უნდა ეძინოს ჩვილს; როგორ დავიცვათ მოზარდები პედოფილიისაგან; როგორ დავამშვიდოთ მტირალა ბავშვი; როგორ იმგზავრონ არასრულწლოვნებმა ტაქსით უსაფრთხოდ და ა.შ.

საინფორმაციო სააგენტო ამ თვეშიც, მეტწილად, სხვა მედიასაშუალებების ორიგინალური პროდუქტით სარგებლობს.

აპრილი, 2023: აპრილის თვეში „პრაიმტაიმის“ მიერ ბავშვებზე მომზადებული მასალების რაოდენობა 57-ს შეადგენს. მათგან დადებით კონტექსტში 15 მომზადდა. მასალების რუბრიკაცია შემდეგნაირად გამოიყურება: საზოგადოება (15), სამართალი (2),

Faceამბები (2), რჩევები (7), მსოფლიო (8), სპორტი (1), ომი უკრაინაში (3), ჯანდაცვა (7), პოლიტიკა (7), სოციალური თემა (1), განათლება (1), შემთხვევა (1), მეცნიერება (1), ტაბლოიდი (1).

მასალათა სიმრავლე და მრავალფეროვანი თემატიკა აპრილის თვეშიც შეიმჩნევა: წარმოდგენილია როგორც ფაქტების კონსტატაცია, ისე - ბავშვებთან დაკავშირებული საინტერესო ბლოგები.

მასალების ერთი ნაწილი, თითქოს, უწყინარ ტონს ატარებს, თუმცა, თუკი კარგად ჩავუღრმავდებით, სტერეოტიპული შეხედულებების ერთგვარი გამოძახილი და გაგრძელებაა. მათ შორის, უპირობოდ, უნდა აღინიშნოს მასალა, რომელიც ბავშვთა სქესის დაგეგმვას შეეხებოდა. გინეკოლოგი დეტალურად საუბრობს, როდისაა შესაძლებელი ბიჭის და გოგოს სქესის განსაზღვრა და, საამისოდ, რა „წესები“ უნდა დაიცვან წყვილებმა. მიგვაჩნია, რომ მასალა სტერეოტიპების გამყარებას ემსახურება, ვინაიდან ფოკუსი ბავშვის სქესზე კეთდება და არა - უფრო ღირებულ და პირველხარისხოვან პრობლემებზე.

გარკვეულ სტერეოტიპულ ხედვებს შეიცავს მასალა, რომელიც ხანდაზმულ მშობიარობას ეხებოდა. აქ აქცენტი ადრე დაობლებულ ბავშვებსა და მოხუც მშობლებზეა გაკეთებული. მოყვანილ ისტორიაში კი საუბარია საკითხისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე, რომელშიც ხალხის სტერეოტიპული მოსაზრებები შეიმჩნევა. მედია, ამ შემთხვევაში, მსგავსი მესიჯების უფილტრო გამტარს წარმოადგენს, რამაც შესაძლოა, მსგავსი ტიპის ოჯახებში გარკვეული ნიჰილისტური განცდები ჩასახოს.

აპრილის თვის მასალებში ბავშვების საკითხი პოლიტიკური დავის საგანი არაერთხელ გამხდარა. მედია მოზარდთა საჭიროებაზე ანალიტიკოსებსა და პოლიტიკოსებს „ასაუბრებს“, პრობლემების რეალური ადრესატები (ბავშვები) კი ტექსტებში არ ჩანან.

„პრაიმტაიმი“ წარმატებული ბავშვებითაც ინტერესდება. აპრილის თვეში ასეთი ერთი მასალა შეგვხვდა, სადაც, საგულისხმოა, რომ მოზარდის კომენტარიც ჩაწერილია.

სააღდგომო პერიოდში საინფორმაციო სააგენტო ბავშვთა საკითხებზე ბლოგებს აქტიურად აქვეყნებდა კვერცხისა და პასკის რაციონზე ბავშვებში, რათა მათზე მავნე გავლენა არ მოეხდინა. მასალის დასაწყისში დასაბუთებულადაა წარმოდგენილი ჰიპოთეტური მოსაზრებები, რომლებიც სპეციალური კვლევის საგანია, კერძოდ: ბავშვებში განსაკუთრებით მაღალია აღნიშნული პროდუქტებისადმი მიდრეკილება და სწორედ ამიტომ, „ზომიერებას ვერ იცავენ“, - აღნიშნული მოსაზრება ტექსტის „ლამაზად“ შეფუთვას ემსახურება და ის რეალურ ფაქტებს, შესაძლოა, არც შეიცავდეს.

აპრილის თვის მასალებშიც წარმოდგენილია ისეთი სათაურები, რომლებიც ინტრიგას ტოვებს და „დაწკაპების“ ეფექტს იძლევა, რაც სააგენტოსთვის მომგებიანი და კარგად ნაცადი ბიზნესხერხია.

მაისი, 2023: განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა მაისის თვის მასალები. თემატიკა, უმეტესად, ნეგატიური კონტექსტის მომცველია. დადებით ჭრილში

წარმოდგენილი 88 მასალიდან მხოლოდ 16 გაშუქდა. რუბრიკები შემდეგნაირად გადანაწილდა: შემთხვევა (7), მსოფლიო (17), სამართალი (6), კრიმინალი (4), ჯანდაცვა (4), ტაბლოიდი (4), პოლიტიკა (6), საზოგადოება (24), ომი უკრაინაში (1), Faceამბები (3), რჩევები (5), რეგიონი (1), კულტურა (1), მეცნიერება (2), ისტორიები (1), განათლება (1), სოციალური თემა (1).

რუბრიკების მრავალფეროვნებით საინფორმაციო სააგენტო primetime.ge ნამდვილად გამორჩეულია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რუბრიკა შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას, რაც მათი ხელოვნურად გაზრდის შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაისის თვის მასალებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ საინფორმაციო სააგენტო კვლავ ჩვეული პრაქტიკით აგრძელებს ბავშვთა საკითხების გაშუქებას: გვთავაზობს როგორც ფაქტების კონსტატაციას, ისე რჩევებსა და საინტერესო ბლოგებს.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მაისის თვის მასალებში ეთიკური გადაცდომები ნაკლებად შეიმჩნევა, ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშვთა დისკრიმინაციის ფაქტების კონსტატაციისას, როდესაც საინფორმაციო სააგენტო ცდილობს როგორც ტექსტში, ისე ვიზუალურ ნაწილში დაიცვას კონფიდენციალურობის პრინციპი.

„პრაიმტაიმი“ სენსაციური და დამაინტრიგებელი სათაურებით მაისის თვეშიც გამოირჩეოდა. მკითხველის ემოციებზე „თამაში“ ამით არ შემოიფარგლებოდა: საინფორმაციო სააგენტო ესპანეთში დაღუპული სამი წლის გოგონას მშობლის სენსიტიურ ფეისბუქ-პოსტებს აქტიურად აზიარებდა, მას თან ერთოდა გარდაცვლილი ბავშვის ფოტო და ვიდეომასალა.

„პრაიმტაიმის“ ორიგინალური მასალების ხვედრითმა წილმა მაისის თვეში მცირედით იმატა. შედარებით ნაკლები იყო სხვა მედიასააგენტოებისაგან გაზიარებული ინფორმაციები.

წარმოდგენილი 88 მასალიდან დიდი ნაწილი საინფორმაციო ფორმატის იყო, თუმცა აქტიურად ქვეყნდებოდა ბავშვებთან დაკავშირებით სხვადასხვა რჩევა, გაფრთხილება, რეკომენდაცია და ა.შ.

საინფორმაციო სააგენტო primetime.ge ბავშვთა თემატიკას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს, რაც მასალათა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოიხატება.

1-ლი ივნისი, 2023: „პრაიმტაიმის“ ობიექტივში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მხოლოდ 7 მასალა მომზადდა. ყველა მათგანი სწორედ პირველი ივნისის ღონისძიებებსა და მისალოც განცხადებებს ეხებოდა.

საინფორმაციო სააგენტოს მიერ ამ დღისადმი მიძღვნილ მედიამასალებში ისევე, როგორც „ინტერპრესნიუსის“ შემთხვევაში, არ „ჩანან“ ბავშვები, მათზე სხვები საუბრობენ. მასალები ზედაპირული, საახალამბებო და აღწერილობითია. თითქმის ყველა ტექსტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან: დაგეგმილი ღონისძიების დღის წესრიგი და უწყების მიერ გავრცელებული ინფორმაცია ან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარები. არცერთ მასალაში არ გვხვდება ბავშვების კომენტარი, მათი ემოციები,

მოსაზრებები. „პრაიმტაიმი“, „ინტერპრესნიუსის“ მსგავსად, გვაწვდის ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას წარმოადგენს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე, ძირითადად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ. საგულისხმოა, რომ მედია, პირველ რიგში, ბავშვების ინტერესებითა და მოსაზრებებით უნდა დაინტერესებულიყო. ამასთან, დასაფიქრებელია ამ დღისადმი მიძღვნილი მედიამასალების სიმწირე.

5. დასკვნა და რეკომენდაციები

ძირითადი მიგნებები

ხუთთვიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში (2023 წლის 1 იანვარი - 1 ივნისი), ორი საინფორმაციო სააგენტოს: primetime.ge-სა და interpressnews.ge-ის მაგალითზე, ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული მასალების ჯამური რაოდენობა **549-ს** შეადგენს. აქედან უმრავლესობა - **298** მასალა „პრაიმტაიმს“, **251** კი - „ინტერპრესნიუსს“ ეკუთვნის. წარმოდგენილი ოდენობა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ კვლევის ორივე ობიექტი ბავშვთა საკითხებს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. აქტიურად შუქდებოდა მოზარდებთან დაკავშირებული როგორც დადებითი, ისე ნეგატიური მოვლენები. ჟურნალისტური ფორმის მიხედვით კი, წარმოდგენილი მასალების უმრავლესობა საინფორმაციო ღირებულების იყო და შეიცავდა ფაქტების კონსტატაციას.

რაც შეეხება თეორიულ ჩარჩოსა და ემპირიულ კვლევას, საინფორმაციო სააგენტოთა მასალების შესწავლის საფუძველზე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის კავშირი კვლევის შედეგებმა ცხადყო: ვინაიდან ჩვენი დაკვირვების ობიექტი საინფორმაციო სააგენტოებია, წარმოდგენილი თეორიული კონცეფციები, ძირითადად, სწორედ მსგავსი ფორმის ჟურნალისტურ პროდუქტს მიემართება, შესაბამისად, ემპირიულ მასალათა თეორიულ პრიზმაში გატარებამ საშუალება მოგვცა ნათლად დაგვენახა, რამდენად ჰარმონიული კორელაციაა პრაქტიკულ ჟურნალისტურ ნამუშევარსა და საკითხისადმი პერფექციონისტულ თეორიულ მიდგომას შორის.

დღის წესრიგის თეორია, ბავშვთა საკითხების გაშუქების პრიზმაში, ორივე საინფორმაციო სააგენტოს მიერ მეტ-ნაკლებადაა გათვალისწინებული. აღნიშნული დასტურდება ფაქტით, რომ ჩვენი კვლევის ობიექტების დღის წესრიგში არასრულწლოვანთა საკითხები ხშირად ექცეოდა, მეტწილად, interpressnews.ge-ს ობიექტივში, - მედიასაშუალება ბავშვებთან დაკავშირებული სიახლეების მუდმივ ექსპოზიციას გვთავაზობს.

ფრეიმინგის თეორია, მეტწილად, საინფორმაციო სააგენტოს primetime.ge-ის მასალებში გვხვდება, ვინაიდან აღნიშნული მედიასაშუალება ცდლობს გააშუქოს არა მხოლოდ ბავშვებთან დაკავშირებით მიმდინარე აქტუალური მოვლენები, არამედ გარკვეული ფრეიმებით ქმნის დღის წესრიგს, - ეს გამოიხატება სააგენტოს მიერ შემოთავაზებული ბლოგებით, რომლებიც, თავისი შინაარსით, საინფორმაციო ღირებულებასთან ერთად, ანალიტიკურ და დიდაქტიკურ კონტენტს შეიცავს.

რაც შეეხება **პრაიმინგის თეორიას**, მისი გამოყენების ნიშნებს წარმოდგენილ საინფორმაციო სააგენტოთა მასალებში ნაკლებად ან საერთოდ ვერ ვხვდებით. არსებობს მოლოდინი, რომ მედიაპროფესიონალებმა ბავშვთა უფლებების შესახებ საზოგადოების მობილიზებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ. შესაბამისად, მათ მიერ შექმნილი პუბლიკაციები ამ მიმართულებით საზოგადოების ყურადღების მობილიზებაში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს. ჩვენ მიერ შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით კი, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძლიერი მედიაგზავნილები არცერთი საინფორმაციო სააგენტოს შემთხვევაში არ გამოვლენილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ემპირიულ ველში გვეპოვა, თუნდაც, ბავშვთა უფლებებზე მომზადებული მასალები იმდაგვარად, რომ მას კამპანიური ხასიათი ჰქონოდა, რომელიც, უფრო მეტად, მოქალაქეთა პასუხისმგებლობის ამაღლებისა და ბავშვებთან მიმართებით წარმოდგენების უკეთესობისაკენ შეცვლისკენ იქნებოდა მიმართული.

კვლევის შედეგად ჩვენ მიერ წინასწარ გაწერილი **ჰიპოთეზები ნაწილობრივ გამართლდა**:

- პირველი ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც მოლოდინი გვქონდა, რომ ორივე საინფორმაციო სააგენტოს მიერ ბავშვთა საკითხები ეპიზოდურად და ზედაპირულად შუქდებოდა, შეიძლება ითქვას, თითქმის არ გამართლდა, ვინაიდან კვლევის ობიექტები არასრულწლოვნების თემატიკას დიდი სიხშირით აშუქებდნენ, არ იყო ეპიზოდური, თუმცა მასალებს სიღრმეები აკლდა და ზოგიერთ მათგანში ზედაპირულობაც შეინიშნებოდა;
- მეორე ჰიპოთეზის მიხედვით, „ინტერპრესნიუსი“ შედარებით თანმიმდევრული და აკადემიური მასალებით იქნებოდა გამორჩეული, - ჩვენი მოლოდინი გამართლდა, რადგან აღნიშნული საინფორმაციო სააგენტო მკითხველს აკადემიურ, ემოციებისა და სენსაციურობისაგან დაცლილ მასალებს სთავაზობდა. ამასთან, იყო თანმიმდევრული და ობიექტური რეალობის გამტარი;
- მესამე ჰიპოთეზა „პრაიმტაიმის“ სენსაციურ და მყვირალა სათაურებს შეეხებოდა, - ამ ნაწილშიც გამართლდა ჩვენი მოლოდინი, ვინაიდან მასალათა უმეტესობის ჰედლაინები ემოციური, სენსაციური და დამაინტრიგებელი იყო;
- მეოთხე ჰიპოთეზა კი ნაწილობრივ გამართლდა, რადგან მედიასააგენტოებისთვის ბავშვი მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში არ ექცეოდა. ნაკლებად, თუმცა მაინც

შუქდებოდა მოზარდთა მიღწევები, მათთან დაკავშირებული დადებითი სიახლეები და სხვ.

მედიასაშუალებათა მიერ ბავშვთა თემატიკაზე გამოქვეყნებული მასალების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგად, შემდეგი **ძირითადი შედეგები** გამოვლინდა:

- მასალათა ვიზუალურ ნაწილში ორივე მედიასააგენტო, მეტწილად, იცავს ეთიკურ და პროფესიულ სტანდარტებს, შესაბამისად, უარყოფითი კონტექსტის საილუსტრაციოდ მათ მიერ წარმოდგენილი ფოტო-ვიდეომასალები არ შეიცავს პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიცირების რისკებს;
- ყველაზე თვალსაჩინო ხარვეზი, რომელიც ორივე საინფორმაციო სააგენტოს შემთხვევაში ყველაზე მეტად გამოვლინდა, ბავშვთა საკითხებზე მათი მოსაზრებების უგულებელყოფაა, ფაქტობრივად, არასრულწლოვნებზე „უფროსები“ საუბრობენ და მედია ბავშვის აზრით ნაკლებად ინტერესდება, - ცხადია, მხედველობაში გვაქვს ისეთი თემები, რომლებზეც შესაძლებელია მოზარდებისგან კომენტარის აღება;
- წარმოდგენილი მასალების თითქმის მესამედში გვხვდება შემთხვევები, როცა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხი პოლიტიკური დავის საგანი გამხდარა, რაც „პოლიტიკური ქულების“ დაწერას უფრო ჰგავდა, ვიდრე პრობლემის გადაწყვეტას. ამასთან, შეგვხვდა მასალები, რომლებშიც ბავშვი კომერციული მიზნებისთვის იქნა გამოყენებული;
- „ინტერპრესნიუსის“ მიერ ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული მასალების უმრავლესობა მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს შეეხებოდა, იყო ინფორმაციული, საქმიანი, აკადემიური და თანმიმდევრული როგორც ძირითად ტექსტში, ისე სათაურში;
- „პრაიმტაიმის“ მასალებში იგრძნობა სენსაციისკენ მიდრეკილება: საინფორმაციო სააგენტო არ ერიდება ემოციურ შეფასებასა და ისეთ მძიმე ტერმინოლოგიას, როგორიცაა: „შემზარავი“, „საზარელი“. ამასთან, სათაურები იმგვარად იყო ფორმულირებული, რომ „დაწკაპების“ ეფექტს ქმნიდა და მკითხველს აინტრიგებდა;
- მიუხედავად დიდი მცდელობისა, ორივე საინფორმაციო სააგენტოს შემთხვევაში, ბავშვთა თემატიკაზე მომზადებული რამდენიმე მასალის ძირითად ტექსტებში ვაწყდებით დისკრიმინაციის მსხვერპლი არასრულწლოვნების ირიბი იდენტიფიცირების ფაქტებს, რაც ტოპონიმური ერთეულების დავიწროებით იყო განპირობებული;
- ორივე საინფორმაციო სააგენტო ყურადღებას უთმობდა ბავშვებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის კვლევას და მისი შედეგების რეფლექსიას აქტიურად ახდენდა;
- „ინტერპრესნიუსისაგან“ განსხვავებით, „პრაიმტაიმი“ აქტიურად აქვეყნებდა ბავშვთა სხვადასხვა საჭიროების შესახებ პედიატრებისა და სხვა კომპეტენტური პირების

რჩევებს, რეკომენდაციებს, გაფრთხილებებს, რომლებიც, წესით, ყველა მშობლისთვის საყურადღებო და რელევანტური უნდა ყოფილიყო;

- ორივე მედიასააგენტოს შემთხვევაში ვაწყდებით რამდენიმე ისეთ მასალას, რომლებშიც მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის კომენტარია ჩაწერილი. მიგვაჩნია, რომ მას არანაირი საინფორმაციო ღირებულება არ აქვს და მიდრეკილია სენსაციისა და მკითხველის მოზიდვისაკენ;
- მეტწილად „პრაიმტაიმის“ შემთხვევაში, რამდენიმე მასალაში მძიმე თემებზე ისეთი ადამიანების კომენტარები გვხვდება, რომელთა მოსაზრებები ჰიპოთეტურია, საუბრობენ ვერსიებზე, რომლებიც, შესაძლოა, შორს იყოს ჭეშმარიტებისაგან (მაგ.: დიდ დიღომში გარდაცვლილი 12 წლის გოგონას შემთხვევა). მიგვაჩნია, რომ მას არანაირი საინფორმაციო ღირებულება არ გააჩნია და ის მხოლოდ „ჭორაობას“ ემსგავსება;
- „პრაიმტაიმის“ ზოგიერთი მასალა სტერეოტიპების გაძლიერებისაკენ იყო მიმართული. ამ ნაწილში აღსანიშნავია: ბავშვთა სქესის დაგეგმვა; ხანდაზმული მშობიარობა და სხვ.;
- „პრაიმტაიმის“ რამდენიმე მასალაში, ტექსტების „ლამაზად შესაფუთად“, დასაბუთებულ ტონალობაში წარმოდგენილი იყო, სავარაუდოდ, ჟურნალისტის ჰიპოთეტური მოსაზრებები, რომლებიც სპეციალური კვლევის საგანია (მაგ.: ბავშვებს სააღდგომო კვერცხი ძალიან უყვართ, რის გამოც ზომიერებას ვერ იცავენ);
- რუბრიკების მრავალფეროვნებითა და შედარებით დავიწროებული ფოკუსით საინფორმაციო სააგენტო primetime.ge გამოირჩეოდა;
- საავტორო უფლებების მიხედვით, „ინტერპრესნიუსი“ მკითხველს საკუთარ, ორიგინალურ მასალებს სთავაზობს, „პრაიმტაიმი“ კი, შესაბამისის წესების დაცვით, სხვადასხვა მედიასაშუალების პროდუქტს აზიარებს;
- „ინტერპრესნიუსი“ მკითხველს ამბის ე.წ. „ბექგრაუნდს“ სთავაზობს, რათა მკითხველს მოვლენის შესახებ არა მარტო მიმდინარე, არამედ წინარე პროცესებზეც ჰქონდეს ინფორმაცია. „პრაიმტაიმის“ შემთხვევაში კი მსგავსი პრაქტიკა იშვიათი იყო;
- „ინტერპრესნიუსი“ საკუთარ პასუხისმგებლობად მიიჩნევდა, აუდიტორიისთვის სპეციფიკური ტერმინები განემარტა, რათა მკითხველში გარკვეულ ენტროპიას არასწორი ინტერპრეტაციები არ გამოეწვია.
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ მედიამასალებში ორივე საინფორმაციო სააგენტო ზედაპირული და ზოგადია. თარიღთან დაკავშირებით, ძირითადად, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ. არსად გვხვდება ბავშვების კომენტარები. განსაკუთრებით ასეთ დროს, მედია უფრო მეტად უნდა დაინტერესებულიყო ბავშვების ემოციებითა და მოსაზრებებით.

რეკომენდაციები

ჟურნალისტები, რომლებიც ბავშვთა საკითხებს აშუქებენ, სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან. მნიშვნელოვანია ყოველი დილემის ეთიკურად გადაჭრა, რათა ხელი არ შეუწყონ მედიადისკრიმინაციასა და ბავშვებისთვის დამატებითი ზიანის მიყენებას.

მედიის წარმომადგენლები მეტად თანამგრძნობნი უნდა იყვნენ ბავშვების მიმართ და დაიცვან მათი უფლებები.

ემპირიული ველის ანალიზის შედეგად ძირითადი მიგნებები/ტენდენციები გამოვავლინეთ, რის საფუძველზეც რამდენიმე რეკომენდაცია შევიმუშავეთ.

ჩვენი რეკომენდაციებია:

- **ბავშვთა საკითხები ბავშვების ჩართულობით:** ბავშვთა საკითხების გაშუქებისას მედიამ უპირატესობა მათ მოსაზრებებს უნდა მიანიჭოს, - შესაძლებლობების ფარგლებში, თუკი ეს ბავშვის რეტრავმირების საფუძველი არ გახდება;
- **შეამციროს იდენტიფიცირების რისკები:** ნეგატიურ კონტექსტში მომზადებულ მასალებში ხშირად ირიბი იდენტიფიცირების ნიშნები იკვეთება, რის გამოც, შესაძლოა, ბავშვს დამატებითი ზიანი მიადგეს;
- **მოერიდოს მძიმე ტერმინოლოგიას:** მედიასააგენტოები სათაურში ხშირად იყენებენ მძიმე სიტყვათშეთანხმებებს, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი ამ გზით მკითხველის მოზიდვას ცდილობენ;
- **არ შეუწყოს ხელი სტერეოტიპების გაძლიერებას:** მედიამ უნდა გააანალიზოს მოსალოდნელი რისკები და დაფიქრდეს მასალის გამოქვეყნების შედეგებზე, - ხომ არ შეიცავს ის კონკრეტული სტერეოტიპების გაძლიერების საფუძველს;
- **გახდეს მეტად თანამგრძნობი ბავშვის მიმართ:** აღნიშნული მიდგომა მოგვცემს იმის საფუძველს, რომ მედია თავისი გაშუქებით არათუ დამატებით ზიანს მიაყენებს ბავშვებს, არამედ მათი უფლებების დაცვას შეეცდება;
- **მასალები აკადემიურ ჩარჩოში მოაქციოს:** ეს თავიდან აგვარიდებს მასალების სენსაციისაკენ გადახრას, ის თანმიმდევრული, საქმიანი და ინფორმაციული იქნება. დამატებითი შეფასებებისაგან მედიას თავშეკავება მართებს, მან მოვლენაზე ფაქტებით უნდა ისაუბროს;
- **მოერიდოს „ჭორაობას“:** ხშირად მედია კონკრეტულ სენსიტიურ ფაქტზე გვთავაზობს ვერსიებს, რომლებიც, შესაძლოა, სიმართლეს არც შეესაბამებოდეს;
- **მოერიდოს მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ჩაწერას:** ხშირად მედია გვაწვდის მძიმე ემოციურ მდგომარეობაში მყოფი რესპონდენტის კომენტარს, რომელსაც საინფორმაციო ღირებულება არ გააჩნია და მხოლოდ სენსაციისაკენაა მიდრეკილი.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია პრაქტიკულ დონეზე, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვთა საკითხების არაეთიკური, არააკურატული გაშუქება.

ბიბლიოგრაფია

1. (n.d.). Retrieved from top.ge: http://bitly.ws/FxVr (ბ.ნ.: 25.05.2023)
2. (n.d.). Retrieved from http://bitly.ws/FKf3 (ბ.ნ.: 27.05.2023)
3. *Agenda Setting Theory.* (n.d.). Retrieved from Communication Theory: https://bit.ly/3BMTOnr (ბ.ნ.: 21.05.2023)
4. batumelebi.netgazeti.ge. (2023, მარტი 25). *ჟურნალი "ბათუმელები".* Retrieved from https://bit.ly/3oGFzNw (ბ.ნ.: 28.04.2023)
5. Chalaganidze, N. (2015). COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA. *International Journal of Multidisciplinary Thought*, 205-211.
6. Chalaganidze, N. (2015). COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA. *International Journal of Multidisciplinary Thought*.
7. Chalaganidze, N. (2015). COVERAGE OF CHILDREN ISSUES IN MODERN GEORGIAN MEDIA . *International Journal of Multidisciplinary Thought*.
8. *Framing Theory.* (n.d.). Retrieved from Mass Communication Theory: https://bit.ly/43gCNxs (ბ.ნ.: 21.05.2023)
9. Goffman, E. (n.d.). Frame analysis.
10. Habib, G., Urfan Ullah, M., Khanum, T., & Khan, A. (2023). Role of Media in Coverage and Reporting of Child Abuse Cases. *JOURNAL OF WORLD SCIENCE*, 753-764.
11. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ორი თანამშრომელი დააკავა: http://bitly.ws/FJJ2 (ბ.ნ.: 27.05.2023)
12. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from ოჯახში ძალადობის და არასრულწლოვანი გერის გაუპატიურების ფაქტებზე ბრალდებულს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა: http://bitly.ws/FJK7 (ბ.ნ.: 27.05.2023)
13. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from ანა ნაცვლიშვილი - ჩვენს სკოლებში ბავშვებს შიათ - მშიერი ბავშვი რას მოისმენს, რას გაიგებს და სახლში რას წაიღებს იქიდან ?!: http://bitly.ws/FJKI (ბ.ნ.: 27.05.2023)
14. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მსოფლიოს დაბინძურებული და უხარისხო მედიკამენტებისგან ბავშვების დაცვისკენ მოუწოდებს: http://bitly.ws/FJLP (ბ.ნ.: 27.05.2023)
15. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 4 ახალი საბავშვო ბაღი შენდება: http://bitly.ws/FJQH (ბ.ნ.: 27.05.2023)
16. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from ბათუმს „ბავშვზე მორგებული ქალაქის“ კანდიდატის სტატუსი მიენიჭა: http://bitly.ws/FJRj (ბ.ნ.: 27.05.2023)

17. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from „ტოიოტა ცენტრ თბილისში“ ტოიოტას ხატვის საერთაშორისო საბავშვო კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია 3 თებერვალს დასრულდება: http://bitly.ws/FJRF (ბ.ნ.: 27.05.2023)

18. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from „თიბისი კონცეპტში“ საბავშვო მასტერკლასები გაიმართა: http://bitly.ws/FKed (ბ.ნ.: 27.05.2023)

19. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from 202-ე სკოლაში საქველმოქმედო აქცია ჩატარდა: http://bitly.ws/FKeB (ბ.ნ.: 27.05.2023)

20. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from შალვა პაპუაშვილმა იაშვილის კლინიკის ონკო-ჰემატოლოგიურ ცენტრში მოთავსებული ბავშვები მოინახულა: http://bitly.ws/FKf3 (ბ.ნ.: 27.05.2023)

21. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from გორის მუნიციპალიტეტის მერიამ და კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტომ პატარებისთვის საახალწლო წარმოდგენა გამართა: http://bitly.ws/FKfL (ბ.ნ.: 27.05.2023)

22. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from „წისქვილი ჯგუფმა“ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისთვის სასწავლო მასალების შეძენა დააფინანსა: http://bitly.ws/FKgg (ბ.ნ.: 27.05.2023)

23. *interpressnews.ge*. (2023, იანვარი). Retrieved from უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი - უკრაინამ რუსეთში გატაცებული 125 ბავშვი დაიბრუნა: http://bitly.ws/FKgs (ბ.ნ.: 27.05.2023)

24. Jempson, M. (2003). *Children and media - a global concern.* researchgate.net.

25. *Journal of Children and Media.* (n.d.). Retrieved from https://www.tandfonline.com/journals/rchm20

26. matsne.gov.ge. (2015). *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.* Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: http://bitly.ws/F9jJ (ბ.ნ.: 22.05.2023)

27. matsne.gov.ge. (2019, სექტემბერი 20). *საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.* Retrieved from ბავშვის უფლებათა კოდექსი.

28. Nair, P. (2019). CHILD SEXUAL ABUSE AND MEDIA: COVERAGE, REPRESENTATION AND ADVOCACY. *Institutionalised Children Explorations and Beyond*, 38-45.

29. publika.ge. (2022, ნოემბერი 21). *საზოგადოებრივ-პოლიტიკური ონლაინგამოცემა "პუბლიკა".* Retrieved from https://bit.ly/3ncmpii (ბ.ნ.: 28.04.2023)

30. UNICEF. (2019). *ბავშვთა უფლებათა კოდექსი - მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის.* Retrieved from www.unicef.org: http://bitly.ws/F9gt (ბ.ნ.: 22.05.2023)

31. UNICEF. (n.d.). *Guidelines for journalists reporting on children.*

32. UNICEF. (n.d.). *Guidelines for journalists reporting on children.*

33. UNICEF. (n.d.). *ბავშვის უფლებათა კონვენცია.*

34. UNICEF, & NCFA. (2017). *Enhancing the quality of reporting on child rights and protection issues.* Retrieved from Childrenofjordan.org: https://bit.ly/3Icohi7 (ბ.ნ.: 16.05.2023)

35. Wilson, B. J. (2008). *Media and children's aggression, fear and altruism.* futureofchildren.org.

36. ბერი, შ., & ჯემპსონი, მ. (2005). მედია და ბავშვთა უფლებები.

37. გაერო. (1990, სექტემბერი 2). *ბავშვის უფლებათა კონვენცია, მე-17 მუხლი.*

38. გაერო. (1990, სექტემბერი 2). *ბავშვის უფლებათა კონვენცია, მეორე მუხლი.*

39. გაზდელიანი, ს. (2020). *ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქება თანამედროვე სატელევიზიო მედიაში.* თბილისი: researchgate.net.

40. გაზდელიანი, ს. (2020). *ბავშვთა დისკრიმინაციის გაშუქება თანამედროვე სატელევიზიო მედიაში.* თბილისი: researchgate.net.

41. დანელია, ნ. (2011). *ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში.*

42. დანელია, ნ. (2011). ბავშვთა საკითხების გაშუქება ქართულ სატელევიზიო მედიაში . *მედიის განვითარების ფონდი.*

43. *ინტერპრესნიუსი.* (n.d.). Retrieved from interpressnews.ge: https://www.interpressnews.ge/ka/article/1-chvens-shesaxeb (ბ.ნ.: 25.05.2023)

44. მაისაშვილი, ხ., & ტორაძე, მ. (2019). *მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდები.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

45. ნარინდოშვილი, თ. (2018). *ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015).* თბილისი.

46. *პრაიმთაიმი.* (n.d.). Retrieved from primetime.ge: https://primetime.ge/about-us (ბ.ნ.: 25.05.2023)

47. ქარტია, ს. ჟ. (2016). *ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში.*

48. ქარტია, ს. ჟ. (2016). ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში.

49. ქარტია, ს. ჟ. (2017). *ბავშვთა საკითხების გაშუქების მედიამონიტორინგის ანგარიში.*

50. ქარტია, ს. ჟ., & UNICEF. (2016). *ბავშვთა საკითხების გაშუქება - სახელმძღვანელო წესები.* თბილისი.

51. ქორიძე, ზ. (2008). *ბავშვთა საკითხების გაშუქება და მედიაეთიკა საქართველოში – სიტუაციური ანალიზი.* თბილისი.

52. ქორიძე, ზ. (2009, ნოემბერი 20). ქართული მედია არასრულწლოვანთა უფლებებს ხშირად არღვევს. (გ. მთივლიშვილი, Interviewer)

53. ქურციკიძე, მ. (2022, ნოემბერი 3). ბავშვები, მათი უფლებები და მედია. (ს. გაზდელიანი, Interviewer)

54. *შედარებითი მეთოდი.* (n.d.). Retrieved from metodologiasapiens.com: https://metodologiasapiens.com/ka/metodos/metodo-comparativo/ (ბ.ნ.: 21.05.2023)

დანართები

დანართი N1. სტატისტიკური ინფორმაცია (ფოტო: საქართველოს გენერალური პროკურატურა)





დანართი N2. კვლევის შედეგების რაოდენობრივი ანალიზი (იანვარი-მაისი)




ბავშვებზე მომზადებული მასალების რაოდენობა თვეების მიხედვით
13
31
27
51
29
64
89
57
64
88
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
interpressnews.ge
primetime.ge


ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მედიამასალების თანაფარდობა (1-ლი ივნისი, 2023 წ.)
19%
81%
interpressnews.ge
primetime.ge